XXIII № 7 8 XXIII

ივლისი და აგვისტო, 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“


I მეშინიან! სურათი. . . . . 386
II გლეხის სიმღერა, ლექსი ლ. ბეგეჯკორისა . . . 387
III ნამდვილი მოწამე . . . . . 389
IV კანაფი (ბიკოვიდან) . . . . . 390
V დათვზე ვინადირეთ! ამბავი — ანასტასია წერეთლისა . 392
VI ყაყაჩო (ბიკოვიდან) . . . . . 399
VII სხვის იმედით ნუ იქნები, თარგმანი ს. წერეთლისა . 401
VIII ხის შვილები. ზანგების ზღაპარი, ვანო სხვთაშვილისა. 415
IX წყარო, ლექსი — ვ. ბოგოლაძისა . . . . 418
X საოცარი ხელი-საფქვავი (ნორვეგიული ზღაპარი) ვ. სხვთაშვილისა. . . . . 420
XI ფოლადი კალმის ამბავი, თარგმანი იულიტა ნაკაშიძისა. 429
XII წვრილმანი: გამოცანები, გეოგრაფიული ამოცანა, შარადა და რებუსი . . . . . 434

XIII დედის ალერსი, ლექსი დ. თურდოსპირელისა . . 435
XIV პატარა ხლოია (დასასრული) თარგ. ს. ავალიშვილისა. 436
XV სპილო — ალექსი ჭიჭინაძისა . . . . . 446
XVI მტკვარი, ჭოროხი და რიონი, მგზავრის დღიურიდან (შემდეგი) ილ. ალხაზიშვილისა . . . . . 455
XVII დავით კოპერფილდი ჩარლს დიკენსის მოთხრობა. (გაგრძელება) თარგმანი ელ. კარბელაშვილისა . . . 464
XVIII ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი. ნეკროლოგი * * . . . . . 471
XIX მოკლე ცნობები თვალთ უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან (შემდეგი იქნება) ი. თ-ძისი . 474


ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
დასურათებული ზღაპარი

# ლ ო მ-კ ა ც ი

გიორგი წერეთლისა.

რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს ხელის მომწერლებს, რომ ვისაც არა აქვთ სრულად შემოტანილი ხვედრი ფული დააჩქარონ, თორემ ჟურნალის გზავნა შეფერხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საყმაწვილო ნახატებიანი
# ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

ივლისი და აგვისტო, 1912

✦ წელიწადი მეოცდასამე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1912

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშინიან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გლეხის სიმღერა

ამშეული ვარ... კარზედა
მომადგა გასაჭირი მე,
მაგრამ სახნისი დამიხსნის,
ჩემი გუთანის ჭირიმე!
თუმცა ზამთარს გაძოვაწია,
მაგრამ მელევა ბური მე,
ვეწეობი სამუშაოთა,—
ჩემი გუთანის ჭირიმე!
გაზაფხულშია უანისკენ
უნდა ვიბრუნო ბირი მე,
დავთესო: ბური, სიმინდი,—
ჩემი გუთანის ჭირიმე!
ვიშრომებ, რომ მოვიშორო
კარზე მომდგარი გზირი მე;
სხვა, აბა, რალას მიშველის,—
ჩემი გუთანის ჭირიმე!
სხვას არას ვართმევ... მომმისთვის
აროდეს არ მსურს ჭირი მე;
ეგელაფერს ნათლად ვასრულებ,—
ჩემი გუთანის ჭირიმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს ცუდ-კაცობით რომ სხვებთან
აღარ გამიტუდეს ჰირი მე;
მოვხვევ ხელს ნაჯახს, ბარ-საკვეთს,
ჩემი გუთანის ჭირიმე!

ეანაკ მოსავალს კარგს მაძლევს,
არ მეთქმის იმის ძვირი მე,—
ჩემს კაბოს*) შემოვევლები,
ჩემი გუთანის ჭირიმე!

ავამსებ ბეღელს სიმინდით
ამცდება გასაჭირი მე,—
ჩემს ნამგალს ვენაცვალები,
ჩემი გუთანის ჭირიმე!

**ლადო გეგეჭკორი.**



*) კაბო—ხარის სახელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნამდვილი მოწამე

ერთ უცნაურ ამბავს მოგვითხრობს ერთი პოლიციის მოხელე: ჩვენ უბანში მოჭკლეს ერთი დედაკაცი და ჩვენ წავედით მის შესამოწმებლათ. მე უცბათ მივაქციე უურადღება შკაპის თავზე მჯდომ კატას, რომელიც თუალს არ აშორებდა მოკლულ სახლის პატრონს—თავის ქალბატონს.

კატას ხელი არ ვახლეთ და მას ფეხი არ მოუცვლია შკაპის თავიდან. მეორე დღეს ოთახში შევიუვანეთ ორი კაცი, რომელთაც ბრალდებოდათ დედაკაცის სიკვდილი. მათ დანახვაზე კატა აიბუმგა და თვალების ბრიალით იმათკენ წამოვიდა. ორივენი გაფითრდენ და ერთმა იმათგანმა კატას დაჭკრა კიდეც ჯოხი. კატა გაიქცა, მაგრამ ერთი მათგანი გამოტეტა და თქვა, რომ მე ვარ ამ დედაკაცის მკვლელი და ეგ კატა არისო ერთათ ერთი მოწამე მკვლელობისაო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კანაფი

ერთხელ ვასო ეუბნებოდა თავის ბატარა დას:

— არ მესმის ღმერთმანი, დედამ რათ დაათესინა აქ ეს უვარგისი ბალახი. ჭინჭარიც კი სჯობია ამას. ყვავილების მაგივრათ რალაც ჭინჭები ჭკიდია ზედ. ამას ხომ არავინ შესჭამს!

დედამ გაიგო შვილის ლაპარაკი და ვასოს უთხრა:

— წადი შვილო, უშველე მუშებს ამ მცენარის მოკრეფა.

ვასო ხედავდა როგორ ჭგლეჯდენ ამ მცენარეს, როგორ ალბობდენ, ასწორებდენ.

— დედა, სელსაც ხომ ასე ამზადებენ, თქვა ვასომ,—განა ამისაგანაც ტილოს მოქსოვენ?

— ეს კანაფია, შვილო, ტილო ამისაგან ტლანქი, სხვილი, მაგარი გამოვა. ჩვენ ამისაგან თოკებს დავგრეხთ. ხომ იცი ოჯახში თოკები რა საჭიროა ხოლმე.

ერთი ორი კვირის შემდეგ მუშამ მოუტანა ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოს გრძელი, მაგარი თოკი, რომელიც ახლათ დაეგრიხათ.

როცა ვასო თავის დასთან ამ თოკით ცხენობანას თამაშობდა იტუოდა სოლმე:

— ახლა კი ვიცი რისთვის სთესენ ამ ულამაზო კანაფს.

(ბიკოვიდან).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დათვზე ვინადირეთ!

(ანდრეს ნაამბობი).

ა სიხარული მქონდა ხოლმე, როდესაც მამა ჩემი ზაფხულობით, ერთი ორი კვირით, გამგზავნიდა ბიცოლა ჩემთან იმერეთში. თუმცა ბიცოლა ჰელასი დიდი სიყვარულით დამიხვდებოდა, მაგრამ ჩემი ცელქობით და მოუსვენრობით მალე თავს ისე მოვაბეზრებდი, რომ მოჰყვებოდა ბუზღუნს: არა, შვილო, შენი თავი არა მაქვს, მამი შენის ცოდვას ვერ ავიღებ, ან სადმე გადიჩეხები, ან დათვი დაგეტაკება—და მზათ იყო მალე თავიდან მოვეცილებინე.

მამა ჩემს უსაროდა რომ იქ წასვლის ხალისით კარგათ ვმეცადინეობდი და კლასიდან კლასში გადავდიოდი. მეც მთელ თიბათვეს და მკათათვეს ვატარებდი სასიამოვნო მოლოდინში და მარიამობის დამდეგს, სილობის დროს, როცა სიმინდიც გაიკეთებდა ტაროებს, გაუდგებოდი მხიარულათ გზას. ბიცოლას ერთ კაი აბრეშუმის თავშალს წაუღებდი საჩუქრათ და ნათლია ბიძიას თამბაქოს და ჭრელ ცხვირ-სახოცს.

ბიცოლა ჰელასის სოფლის ერთა-წმიდის მდებარეობა მშვენიერი იყო, თვალსა სტაცავდა ყველას, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტადრე უცხოთ ძოსულებს: ღრიალა მდინარე, ჭალები ჰანტით, თხილით და შვინდით სავსე და ახლოსვე მაღალ ტეიანი გორაკები. შიგ სოფელში ჰატარა ტბა იყო, რომელშიაც ჭეუმპალობდენ იხვებთან ერთად სოფლის გოგო-ბიჭები. მათ სიცილ-ეკვირილს ბოლო არა ჰქონდათ, როდესაც ხელში ჩაუვარდებოდათ წურბელები.

სოფელში მე მეკვანდა ამხანაგები: ერთი იყო ახლო დაბაში მოსწავლე ჰეტრე, მეორე სოფლის მეველის შვილი შალიკო და მესამე—გაცილებით ჩემზე უფროსი, ასე 16—17 წლის ბიჭი მეცხვარე დიმიტრა, რომელიც მოჯამაგირეთ უდგა შემძლე გლეხს, მატელის გამეიდეველს, სესიკას.

დადგებოდა თუ არა მარიამობისთვე, მეტადრე კვირა—უქმეებში, ერთ ერთი მაინც გამოჩნდებოდა რკინის გზის სადგურზე, რომ სიხარულით წავეუვანე სოფელში.

წრეულსაც გადმოვედი თუ არა მატარებლიდან ჰეტრემ მომიტაცა და ჩემი სუბუქი ბარგით, სტვენით და ღიღინით გავუდექით სოფლისკენ. ერთი წლის უნახავები ერთ მანერთს არ ვაცლიდით ლაპარაკს. ჰეტრემ მიამბო სოფლის ავი და კარგი: „თუმცა ზამთარი დიდი არ იყოო, მითხრა მან, მაგრამ სოფლიდან სკოლაში სიარული ძალიან გამიჭირდაო და კარგა ხანს ავათმყოფობდიო.“ ასე ლაპარაკით მივედით ბიცოლას სახლამდის. ბიძიაც და ბიცოლაც დიდი სიხარულით დამიხვდენ, საჭაპურები და ჭეინტლი ეკვლი ბლომათ მაჭამეს. იმავ ღამესვე ვნახე დიმიტრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკო კი, ჩემი პატარა მეგობარი, დილით სახლის პირდაპირ აიტუზა და ხელს მიქნევდა. ამ ორივემაც სოფლის ბევრი ამბები მითხრეს და სხვათა შორის, „რომ ზამთარში მთიდან ხშირათ ჩამოდიოდა დათვი და ისე შეგვეჩვიაო, რომ იქნება, ანდრო, შენც განახოთო“. მე აღტაცებული ვიუავი და ბიცოლასთან ველარ ვჩერდებოდი, ის კი გვერდიდან არ მიშორებდა: შვილო, გაჩერდი, დანატრული ვარ შენს ცქერას. ბიძიამ ერთი-ორჯელ შეუტია,—დაანებე მაგ უმაწვილს, დეე ისიამოვნოს.

ის იყო და ის. ჩემი სახლში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. დიმიტრა თავის ცხვრებს არა შორდებოდა და ჩვენ კი წამს ვბანაობდით, წამს თევზებს ვიჭერდით, წამს ვეწვეოდით დიმიტრას და მის ძაღლს ჯილდას, რომელიც ამ სახელით იყო ჩემგან მონათლული. ტეეში დავანთებდით ცეცხლს, შალიკო მოგვიტანდა საიდანღაც სიმინდის ტაროებს და ასე შევექცევოდით კარგა ბინდამდის. მე ძალიან მიუვარდა დიმიტრა რომ ამბებს მოგვიუვებოდა—მეტადრე დათვებზე, მგლებზე და მელიებზე. თვალებს ვაჭუეტდი სოლმე და სულ ვცახცახებდი, მაგრამ ის რომ იტყოდა: ვაი, ბიჭოს, მე რომ თოფი მქონოდა, უჩვენებდი მაგათ სეირს,—მაშინ მე თავს ჩავღუნავდი და სირცხვილით ხმას ვერ ამოვიღებდი. ეს ორი წელიწადი იყო ვპირდებოდი. გაჩუქებ თოფსო, ქალაქიდან მოგიტან მეთქი. მაგრამ რა მექნა—მამა ჩემი დიდ უარზე იდგა, თოფი უმაწვილებს არ მიეცემათ ხელშიო და ვერა ხვეწნით

ვერ გავიტანე ჩემი, ვერ დავარწმუნე, რომ დიმიტრა უმაწვილი აღარ იყო...

ერთხელ ნათელი მთვარიანი ღამე იყო და დიმიტრას ნაამბობმა ისე გაგვიტაცა, რომ კარგა მოგვიგვიანდა—რომ იცოდეთ, მოგვითხრობდა დიმიტრა.—სწორეთ ამისთანა ნათელი ღამე იყო, ერთხელ ქრისტესშობისთვეში, რომ უცბათ სოფელში დაიძახეს: დათვი, დათვი მოდისო! აიღეს სოფლელებმა კეტები და კიჟინით გაუდგენ გზას. მართლაც სერზე დათვი იდგა. შიმშილს აეძულებინა სადავლოთ სოფელში ჩამოსვლა, მაგრამ კიჟინზე და კივილზე გაბრუნდა, სად იყო შვილოს თოფი, რომ შიგ მუბლში ვერ ვტყორცნე!

— სესიკს ხომ თოფი აქვს, თქვა ბუტრემ.

— დათვი სწორეთ იმას მოუცდიდა, სანამ ის დაიძროდა!

მე კბილები ავაკრაჭუნე. შალიკომ უცბათ წამოიძახა:—ამბობენ ამ თვეშიაც იცის, მთვარიან ღამეებში დათვები სოფლათ ჩამოვლენ ხოლმე ..

ჩვენ ერთ წამს ავიშალენ-ით, გამოვწიეთ სოფლისკენ. დიმიტრამ აათვალ ჩაათვალიერა თავისი ცხვრები, დაუსტვინა ჯილდოს და გავემართენით სესიკის სახლისკენ. როდესაც მივადექით ფარეხს (სამცხვროს) კარგა ბნელოდა. ჯილდა შესავალთან მივიდა და უცებ ეეფით უკან დაიწია, დიმიტრამ შეიხედა ფარეხში და იმანაც უკან დაიხია და შეშინებული ხმით დაიყვირა:

—დათვი, დათვია შიგ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თვალები ამენთო, წამოვწითლდი.

— აბა ერთი თქვენც შეიხედეთ, გვითხრა დიმიტრამ.

ჩვენც ცასცასით შევიხედეთ და ბნელაში დავინახეთ რაღაც უზარმაზარი ცხოველი.

და ერთ ხმათ შევეკვირეთ:

— დათვია, დათვია!

თავზარდაცემულმა დიმიტრამ ერთი კი მოგვაძახა: სესიკს შეატეობინეთ, დაუძახეთ! და საჩქაროთ გაიღალა ცხვრები თავლაში, რომ მათთვის საფრთხე აეცილებინა.

ჩვენ გავიქეცით სესიკის ოდისაკენ და დავიყვირეთ:

— დათვია ფარეხში, დათვი!

— განა გეგონებოდა, რომ დათვზე ნადირობას ნახავდი, წამიჩურჩულა ჰეტრემ.

სესიკი და მისი ოჯახი სამხარს შეექცეოდენ. სესიკი სწრაფად წამოვარდა და ღრიალით დაიწყო სირბილი.

— დათვი? დათვი? ვაი ჩემო ცხვრებო, ეგ სულ დიმიტრას ბრალია!

ამაოდ ვარწმუნებდით აღშფოთებულ კაცს, რომ დიმიტრას ცხვრები ფარეხში არ შეულალავს.

მისმა ძმისწულმა, თომამ, რომ გაიგონა ეს ამბავი დაიყვირა:

— ბიძიავ, ჩქარა თოფი, რა დროს ლაპარაკია!

მაშინვე ორიენი მივარდენ თოფს, გასტენეს და გაეშურენ ფარესისაკენ, ქალები უკან გაჰყვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ კაბის კალთებს მოსჭიდებოდენ ბავშვები. ფრთხილათ, ფეხ-აკრეფით ყველანი ავიდენ სასიმინდეში, იქიდან ჩაიხედეს ფარეხის სარკმელში და მართლაც იქ რაღაც შავათ მოჩანდა და ვიღასაც ტლანქი სიარულის ხმა მოისმოდა. ნამდვილი დათვის ბიჯი იყო. სესიკამ თოფი გაისროლა, თან კანკალებდა. მოესმათ რაღაც ბრახვანი... უსათუოდ დათვს თოფი მოხვდებოდა მეთქი —გავიფიქრე და ჩემ სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. მაშინვე გავეშურეთ ფარეხის კარებისაკენ: შინაურებიც და გარეულებიც. ის იყო სესიკამ დაანჯირა შიგ შესვლა, რომ ვიღაცაც გააფრთხილა: —არ შეგიტეუოს მაგ დათვმა, იქნება მკვდარი არ არი.. სესიკამ ახლა კარებიდან დაუმიზნა თოფი. ყველანი გაფაციცებით შევცქეროდით. მე, მთლად ვთრთოდი, თვალ წინ მიდგა დაკოდილი დათვი, მეგონა ახლავე გამოათრევენ მეთქი. მეორე თოფის ხმაზე შემოგვესმა ფართხალი. ყველამ წავიწიეთ წინ რომ კარგა დაგვენახა. სესიკი ყველაზე წინ იდგა და რაღაც გაშტერებით დასცქეროდა თავის მსხვერპლს.

ბოლოს მოისმა სესიკის ცოლის შეწრწუნებული ხმა:

— ვაი, ეს სომ ჩვენი ბატარა ხბო ყოფილა!

ყველა გაშტერდა.

მე თითქოს ვიღაცაც ცივი წყალი გადამასხა. დარცხვენილი გამოვბრუნდი სახლში.

ბიცოლა ჩემმა რომ შეიტყო ეს ამბავი თავშიცქემით ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილო, დათვს რომ დაეგლიჯე?! ეხუმრები დათვს! მამიშენისთვის რა ჰასუხი უნდა გაგვეცა. ვაი, როგორ გადურჩი და დათვს!

ჩემი წასვლის დროც დადგა. მას შემდეგ სულ ორი დღე არ დავრჩენილვარ სოფელში.

**ანასტასია წერეთლისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ყაყაჩო

ერთ სახლის უკან, რომელშიაც ანიკო და მიხო ცხოვრობდენ, დიდი შემოღობილი მწვანე მინდორი იყო. ამ მინდორზე ბავშვები ხშირათ თამაშობდენ.

ერთ გაზაფხულის ჰირას მათ დედამ გაათოხნინა მინდვრის ერთი ნაწილი, ზედ კვლები გააკეთებინა და ჩაეარა ჰატარა ნაცრის ფერი თესლი.

— აქ მშვენიერი ყვავილები ამოვა, უთხრა ბავშვებს დედამ, — ოღონდ კვლები არ გააფუჭოთ.

ანიკო და მიხო კვლებზე არ დარბოდენ და ქათმებსაც ზედ არ უშვებდენ. რამდენიმე დღის შემდეგ კვლებზე მრავალმა მწვანე ფოთლებმა ამოხეთქეს და სწრაფათ დაიწყეს გაზრდა. ხუთიოდ კვირის შემდეგ მაღალ ღეროებზე მწვანე კოკრებიც გამოჩნდენ. კოკრები ძალე გაიშალენ და კვლები წითელ, თეთრ და ლურჯ ყვავილებით აყვავდენ. ბავშებს ძალიან მოსწონდათ ეს ყვავილები და უნდოდათ მათი დაკრეფა, მაგრამ დედამ ნება არ მისცა და უთხრა, რომ ეს ყაყაჩო არისო და როდესაც საკმაოთ დამ-

წიფდებაო, მაშინ დავკრეფამთო და იმისგან გემრიელი თეთრი რძე გაკეთდებაო*).

რამდენიმე დღის შემდეგ ლამაზ ყვავილებს ფურცლები დასცვივდა, ღეროზედ პატარა კოლოფის მსგავსი თავები ღა შერჩა, თითქოს კუწუბებიანი თავსახურიაო, რომელნიც მალე ჩაშავდენ და შეხმენ. ბავშვებს მალიან უნდოდათ ეხახათ რა იყო ამ კოლოფებში და გაეხარდათ, როცა შიგ პატარა მარცვლები ნახეს, მერე რა ტკბილი!

დედა შინ არ იყო, დამშლელი არავინა ჰყავდათ. ანიკო და მიხო შეუდგენ მის გლეჯას და მარცვლების ულაპვას. ბავშვებმა სადილათ აღარა სჯამეს რა და იქვე ბურის საჯმელ მაგიდასთან ღრმათ ჩაეძინათ. დედას გაუკვირდა ეს ამბავი, შეშინდა და ის იყო უნდა ექიმის მოსაწვევათ გაეგზავნა, მაგრამ ჯიბეებში რომ ყაყაჩოს თესლი უნახა — მიხვდა მათი ძილის მიზეზს.

ბიკოვიდან).

*) ამ ყაყაჩოს რძეს ხმარობენ ხვედის წამლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვის იმედით ნუ იქნები.

ბუსუსასი და ბამბის ქულას ამბავი.

## საშიშარი მტერი.

ერთი დიდი ხნის დროის ტუე ისეთი გაუვლელი და უშველებელი იყო, რომ მის შუაგულამდის ქრისტიანი ადამიანი ვერ მიაღწევდა.

ამ ტეის ერთ ეკალებით მოფენილ კორდზე დასახლდა ბაჭია ბუსუსა თავისი მეუღლით ბამბის ქულათი. შემოდგომაზე ბამბის ქულამ გაიკეთა მიწაში სორო. ამ სოროს საძი შესავალი გზა ჰქონდა: ერთი ძველ წაბლის სიდან მიდიოდა, მეორე დიდი ქვების ნამტვრევებიდან, მესამე ეკლიან ბუჩქებიდან და ეს სამივე გზა ერთი რგვალი თხრილით თავდებოდა, რომელშიაც ბამბის ქულა საოჯახოთ მოეწყო.

როდესაც დადგა გაზაფხული დედა თრიოინას, ბამბის ქულას, გაუჩნდა სამი ბატარა ლამაზი ბაჭია. შვილებს რომ არ შესცივნოდათ მათ მუცლიდან აიცალეს ბეწვები. ამ ბეწვებით მოფინეს ბუდე და შიგ მოათავსეს შვილები.

დედ-მამა ძალიან კმაყოფილნი იყვენ ცხოვრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალ წინ ესატებოდათ ის ნეტარი წუთები, რომ-
დესაც მათი შვილები მთვარის შუქზე, მაღალ ბალა-
ხებში დაიწყებდენ ლაღობას, კოტრიალს.

მაგრამ ესენი დიდ ხანს არ ცხოვრობდენ ბედ-
ნიერათ და მუდრეოთ.

ერთხელ იმ ადგილას, სადაც ბამბის ქულა ცხო-
ვრობდა, გაჩნდა ერთი ბოროტი მელია. ის თავის
ქვეყნიდან გამოეძევათ სხვა და სხვა ბოროტი საქმეე-
ბისათვის და მას აქ მოენახა საცხოვრებელი ბინა.

ცულლუტმა მელიამ მალე მიაგნო ამათ სორეს.
ის მიუჯდა დიდ ქვების ნამტვრევებს და თავის-
თვის თქვა: მე აქ კარგა გამოვძღები. შესავალი გზა
რომ გავაგანიერო — მეტი აღარა მინდარა, ადგილათ
მივაგნებ ჰატარებს, სათუთად გაზრდილ ბაჭიებს
და მათით ჰირს ჩავიკოკლოზინებ.

მელიას ისე მოეწონა ეს აზრი, რომ ამ არდა-
საცალებელს ჰირში ნერწყვი მოუვიდა.

იმავ საღამოს მელია შეუდგა მუშაობას, რომ სო-
როში მისასვლელი გზა გაეგანივრებინა.

ბუსუსამ და ბამბის ქულამ მალე შეამჩნიეს რა
უბედურებაც მოელოდათ.

— ღმერთო ჩემო! უთხრა ბუსუსამ თავის ცოლს,
—ასლა რაღა ეშველებათ ჩვენ საწყალ შვილებს; უბე-
დურება კარზე მოგვადგა!

— შე სულელო! უთხრა ცოლმა, რომელიც ამ
შემთხვევაში უფრო გამჭრიახი იყო, —რას წუწუნებ!
მაგითი უბედურებას ვერ აიშორებ. გასწი ახლავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლებთან, მეგობრებთან და სთხოვე თავი შეგვაფარებინონ.

### მეზობლებმა უმტყუნეს.

ბუსუსა გამოვიდა იმ შესავლიდან, რომელიც წაბლის სიდან იწყებოდა ისე, რომ მელიამ ვერ შეამჩნია და გასწია ერთ სიურმით მეგობართან რომელიც მეზობლათ ცხოვრობდა.

— მეგობარო უთხრა მან,—შენთან ერთი საათხოვარი მაქვს. ჩვენ გვემუქრება საძაგელი ბოროტი მელია, უნდა სოროში შემოვარვა. მიუავ სიკეთე, გაისარჯე და დროებით თავი შეაფარებინე ჩემი ბამბის ქულა შვილებით.

— არ შეიძლება, მაგას როგორა მთხოვ! თქვენ რომ გადმოხვალთ ჩემთან, რასაკვირველია, მელიაც თან გამოგყვებათ და მისთვის ეს ხელსაყრელი იქნება: ორივე სახლობას შეგვულაპავს. ტეუილათ ჩემი იმედი ნუ გექნება, ძმაო! წადი, მოელაპარაკე ჩემ მეზობელს აი, იქ ჩეროში რო ცხოვრობს, მისი სორო ძალიან ღრმაა და იქ კარგათ ძოთავსდებით.

ბუსუსას, რასაკვირველია, ეს სიტყვები არ იამა. არც კი გამოესალმა და ისე საჩქაროთ გაიქცა მეორე მეზობელთან.

ამანაც უბედურ ბუსუსას ხეირიანათ არც კი მოუსმინა და შესძახა:

— შეუძლებელია, შეუძლებელია, ძმაო, ჩვენ უი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისოთაც ბევრნი ვართ: ცოლი, ხუთი შვილი... დიდი ვიწროობაა. აბა თქვენც რომ მოგვემატოთ...

— იქნება...

— შეუძლებელია, არ მოხერხდება. ვწუხვარ რომ უარს გეუბნები, მაგრამ...

ბუსუსამ ეური აღარ უგდო. შეწუხებული და გაჯავრებული დაბრუნდა, თავის სოროში.

მელია კი მიწას თხრიდა და თხრიდა და ნელა ნელა უახლოვდებოდა ჰატარა ბაჭიებს.

— წარმოიდგინე ჩემო კარგო, რომ მეზობელ-მეგობრებმა უარი მითხრეს. ვერა გავაწყერა იმ უგულო ბოროტებთან.

— დროს ტეუილათ ნუ ჭკარგავ, მაგ ლანძღვით არაფერი გამოვა, უთხრა ბამბის ქულამ,—ემჯობინება ლომთან წახვიდე და ჩვენი გაჭირება უამბო. იქნება საშველათ ვინმე გამოგვიგზავნოს.

— რომ არ ვიცი სადა ცხოვრობს ლომი!..

— მისი ბინა შიგ შუაგულ ტეეშია, გზაზე ვისაც ჰკითხო, ეველა მიგასწავლის. მაგისთანა გამოჩენილი მხეცის ჰოვნა ადვილი იქნება.

— მაგრამ სანამ იმის ძებნაში ვიქნები, ვაი თუ მელიამ შესჭამოს ჩვენი შვილები.

— მაგისი შიში ნუ გაქვს. მე ისე ღრმათ გავთხრი სოროს, რომ ჩვენამდის აგრე ადვილათ ვერ მოაღწევს.

— მაშ დღეს, საღამოზევე, გავუდგები გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტყეში გამგზავრება.

ოთან მისვლა არც აგრე ადვილი იყო. თითქმის ნასევარი ტყე უნდა გაევლო და სულ იმ შიშში ყოფილიყო, რომ ან მგელს და ან მელიას არ ჩავარდნოდა ბრჭყალებში. დიდი სიფრთხილე სჭირდა, რომ არ დასტაკებოდა გაძბედავ დედოფალას, გრძელ კუდა კვერნას და სხვას...

როგორც მთვარე ამოვიდა, ბუსუსამ მელიას მისვლას არ მოუცადა, სოროდან გამოვარდა და მამაცათ სშირ ტყეში შევარდა. ბუსუსა შეუსვენებლივ მთელი ორი საათი გარბოდა. მან გადაიარა ფიჭვის ტყე, მერე მუხისა და ბოლოს გავიდა ევავილებით მოფენილ მინდორზე, რომელიც შემკული იყო ცხვირის-სარეთქელა ბალახით.



შუა მინდორში იჯდა კურდღელი და თათებით თავის ჰატარა დინგს ისუფთავებდა.

— საღამო მშვიდობისა, მეგობარო, უთხრა ბუ-სუსამ—არ შეიძლება მიმასწავლო გზა ლომთან.

— როგორ, ლომთან გინდა მისვლა? მართალი უნდა გითხრა, მე იმასთან თავისდღეში. არა ვეოფი-ლვარ, მაგრამ მე ჰაჰა-ჩემისაგან გამიგონია, რომელ-საც უმაწვილობაში ბევრი უმოგზაურნია. ჰირდაჰირ ამ გზით უნდა წახვიდე, დიდ მუხებს გაუარო, გათენებამდის სულ უნდა ირბინო. მაშინ ნახავ მარ-ცხნივ დიდ გუბეს. იქ შედექი და ჰკითხე საით არის გზა.

— დიდათ გმადლობთ.

— აი, კიდევ რა გითხრა: ლომი რომ ნახო-სთხოვე—შეჭამოს ის რამდენიმე მონადირე, რომელ-ნიც მინდორში დაესეტებიან და თოფს გვესვრიან.

— თქვენ თხოვნას უსათუოდ გადავცემ. მშვიდო-ბით.

ის იყო ირაკრაჟა და ბუსუსამ დაინახა ერთი დიდი გუბე, როგორც ნათქვამი ჰქონდა კურდღლი-საგან. გუბეს გარშემო წამოსკუპებულიყვენ ურიცხვი ბაყაყები და ყიყინებდენ. დაინახეს თუ არა ბუსუსა — ეს გულადი ცხოველები სწრაფათ აიშალენ და გუბეში მიიმალენ. მაგრამ ისევ მალე გამოჩნდენ და დაუწყეს ცქერა იმას, ვინც ასე შეაშინა.

უსათუოდ ბუსუსა აგრე საშიში არ იყო, რად-გან ერთმა ბებერმა ბაყაყმა გაბედა და წყლის ჰირ-ზე ამოვიდა.

— ქალბატონო ბაყაყო, უთხრა ხვნეშით ბუსუ-სამ—თუ შეიძლებოდეს მითხარით, საით არის გზა ლომთან მისასვლელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ბეწო დამაცადეთ, მოვიგონო... ეს წელის დასალევათ არა ერთხელ მოფრენილა შაშვი და იმისაგან გაგონილი მაქვს, როგორ უნდა ლომი მონახონ. ჯერ უნდა გაიარო ხშირი ფიჭვის ტყე, მერე გადახვალ დიდ მინდორზე... მერე კი... მეც არ ვიცი და რა გითხრა...

ბუსუსა ძალიან მოდალული იყო, მაგრამ მან ერთი წუთითაც არ დაისვენა. მოაგონდა რა საფრთხე მოელოდა მის ცოლშვილს და ამან ღონე მისცა, გაამხნევა.

ერთი გადახტა და მიიმალა ფიჭვის ტყეში.

— ეი, ბატონო! მიამახა ბაუაუმა—თუ ნახოთ ლომი, სთხოვეთ გადაგვარჩინოს საძაგელ ანკარასაგან (ხოკერასაგან), იმ ოხერმა ლამის სულგადაგვჭამოს.



ბუსუსა უკვე შორს იყო. ის ძიფრინავდა ქარივით ისე, რომ მალე მივიდა დიდ მინდორზე. თუმცა ბალახი მაღალი იყო, კარიოფელადა სხვა და სხვა მინდვრის ყვავილები, მის ფეხ ქვეშ ითელებოდენ, მაგრამ მან მაინც ერთი თვალის დახამხამებაზე გადაიარა ეს ადგილი.

მინდორი რომ გათავდა, ისევ ტყე, უბოლოვო

ტუე გაუხდა გადასასვლელი... ბუსუსა დალონებული შედგა, უცბათ ხეზე თვალი მოჰკრა ბულბულს.

— ბულბულო, საოცარო მომღერალო, უთხრა ამოხვნეშით ბუსუსამ,—მიმასწავლე ლომის ბინა!

— ლომი ამ ტეის შუაგულში ცხოვრობს.

— ძლივს არ მივაღწიე ჩემ საწადელს, შეჰკვირა ბუსუსამ,—რა მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო კეთილო ბულბულო!

— თქვენ ლომს უნდა ელაპარაკოთ?

— დიახ.

— დამავალეთ და უთხარით ჩემ მაგივრათ, რომ განდევნოს ამ ტეიდან კირკიტები და სხვა საძაგელი ფრინველები.

— თქვენი დავალება არ დამავიწყდება. თხოვნას დიდი სიამოვნებით აგისრულებთ.

## ლომთან ტუეში.

ამდენიმე ხანს ბუსუსა ტუეს შესცქეროდა. მის წინ შავ არემარეზე ნათლად მოსჩანდენ ასი წლის მუხები, დიდრონი წიფლის ხეები და არეის ხის თეთრი ფოთლები. ამ დიდრონი ხეების შტოები გადახლართულიეკვენ და ზედ სურიები ძემოხვეოდათ. დიდრონი ტოტები, რომელსაც ადამიანის ხელი არც კი მიჰკარებოდა—ხშირ ბუჩქებში იძალებოდენ.

ბუსუსა დაუსვენებლივ, დაუფიქრებლათ მიდიოდა ამ ეკლით სავსე ტუეში.

ასე გავიდა ნახევარი საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთბაშათ საშინელმა ხმამ, რომელიც ნამდვილი ქუხილი გეგონებოდათ, ბუსუსა შეაუენა, ის კანკალით მიიმალა ერთ ვეება არეის ხესთან—თხუნელას სორროსთან.

მან მიიხედ-მოიხედა და დაიხახა ხავსზე დასკუჰებული წვრილი მოელვარე დინგით თაგუნა.

— რა დაგემართა, შე საწყალო! ჰკითხა ლამაზმა მხვრელმა.

— როგორ თუ რა დამემართა? განა არ გაიგონე?

— ქუხილზე ამბობ, განა?

— სწორეთ ქუხილზე.

— ეს ხომ ლომმა გაიღვიძა და ჰირუტევებს მიესალმა.

— ლომმა? გთხოვთ ძალიან, ერთი დამანახვეთ.

— მაგაზე ადვილი რაღა იქნება! გაიხედე ერთი ამ ხეებში.

ბუსუსას თვალ წინ წარმოუდგა ერთი დიდი გამოქვაბული. შესავალში იჯდა ვეებერთელა ლომი. საწყალი ბუსუსა მთლათ აკანკალებული შესცქეროდა მის დიდ თავს, ორ საშინელ ბრიალა თვალებს, ხშირ მაგარ ფაფარს, რომელიც მთლათ კისერს უმალავდა და მის უშველებელ გრძელ და წვეტიან ბრჭყალებს, რომლის გარშემო ირგვლივ იწვენ სხვა და სხვა მხეცები: წინ ვეფხი, ცხენი, იაგუარი. მერე დათვი, მგელი, ლეოპარდი, გარეული ღორი აფთარი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კეთილი რჩევა.

ვერც კი წარმოვიდგენ, ვერც კი ვიფიქრებ, რომ მე იმას, ლომს უნდა, დაველაპარაკო, ჩურჩულებდა ბუსუსა.

— რას ამბობთ? როგორ? ჰკითხა ჰატარა თაგუნიამ,—განა თქვენ უნდა გაბედოთ და ლომს დაელაპარაკოთ?

ბუსუსამ უამბო თავისი ოჯახის უბედურება. როდესაც მან გაათავა, თაგუნიამ ხელ ახლად ჰკითხა თავისი წრიპინა ხმით:—მერე, ჩემო საწყალო, ლომი რა შუაშია; როგორ თუ რა შუაშია? ის ხომ ყველაზე ლონიერი მხეცია და ყველა მას ემორჩილება.

— რასაკვირველია ის ყველაზე ძლიერია, ამიტომაც ვისაც უნდა და როდესაც უნდა შესჭამს, ვერავინ გაემალადება, სხვაფრივ ჯავრი არა აქვს. მელამ რომ გადაულაპოს შენი შვილები, მაგითი იმას რა დააკლდება.

— მაინც...

— ვთქვათ იმან გინახულა, ეურო დაგიგდო და გიშველა კიდეც. მერე ვინ მიგიშვებს მასთან? გადასდგამ ბიჯს თუ არა მგელი შეგჭამს, თუ მგელს გადურჩები დათვი არ მიგიშვებს ცოცხალს, უსათუოდ რომელიმე მათგანს ჩაუვარდები ბრჭყალებში.

— მაშ რა ეშველება ჩემ შვილებს! წამოიძახა სასოწარკვეთილებით თრითინამ,—უნდა შვილები გადავარჩინო. დაღუპვაც და სიკვდილიც რომ მომელოდეს, მაინც უნდა მივიდე ლომთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა სულელი ხარ, ბუსუსავ, უთხრა თაძამათ თა-გუნიამ,—განა შენი შვილები გაბედნიერდებიან შენ რომ მაგათ შეგჭამონ?

— არა, რასაკვირველია არა. მაშ რავქნა, რა მე-შველება!

— დაბრუნდი სახლში დაუოვნებლივ, საჩქაროთ. აი ჩემი კეთილი რჩევა. ტუუილათ დროს ნუ ჰკარგავ. ნუ სთხოვ შველას ნურც მეზობლებს, ნურც მეგობრებს და ნურც ლომს, სხვის იმედით ნუ იქნები. ეცადე შენ თავს შენვე უშველო. მაგაზე უკეთესი არა იქნება რა.

— შენ სწორეთ კარგ რჩევას მაძლევ.

— დაიჯერე ჩემი რჩევა, შენთვისაა კარგი. გასწი საჩქაროთ შენ სოროში, ნუღარ იგვიანებ.

ბუსუსამ აღარ გაამეორებინა სიტყვები და გაექა-ნა თავის ბინისკენ ისე სწრაფათ, თითქოს მეძებრები უკან მისდევენო.

### ბინაზე დაბრუნება.

ოთელი დღე და ღამე შეუსვენებელი სირბილის შემდეგ ბუსუსა ღონე მიხდილი, ჯავრისაგან და შიმშილისაგან სიკვდილის ჰირამდის მიღწეული შე-ვარდა ეკლიან ბუჩქების მხრიდან თავის სოროში.

მას ცოლშვილი ცოცხალი და კარგა მეოფი და-უხვდა.

მნელი წარმოსადგენია, როგორ გაეხარდათ ერთმა-ნეთის ნახვა და როგორ ეალერსებოდენ ერთი მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დიდსანს არ გაგრძელდა მათი სისარული.

— რას იტყვი? ჰკითხა ბაბბის ქულამ,—როგორ არი ჩვენი საქმე?

— იმ მდგომარეობაშივეა, როგორც იყო იმ დღეს, როდესაც აქედან წავედი.

— რას ამბობ? სწორეთა თქვი!

— მართალს გეუბნები.

და ბუსუსამ დაწვრილებით უამბო თავისი მოგზაურობა და თაგუნიას რჩევა, რომ სხვის იმედით ნუ იქნებიო.

— მაშ შენი მოგზაურობა იმითი გათავდა, რომ მხოლოთ რჩევა მოგვიტანე? მაგრამ ეგ რჩევა მე მომწონს და ვეცადოთ გამოვიყენოთ.

— თქმა ადვილია, მაგრამ როგორ?

— დამიგდე ყური. სედავ, სანამ შენ სახლში არ იყავი, მე ტყვილათ დროს არა ვკარგავდი. მთელი დღეები ვთხრიდი, ვაღრძავებდი ჩვენ სოროს, ისე რომ მელია ჩვენამდის კარგა სანს არ ძოაღწევს. გარდა მაგისა, ერთხელ რომ საზრდოს საშოვნელათ მივდიოდი, კარგა დავათვალიერე ის შემოსასვლელი, საიდანაც მელია გვიასლოვდება და შევამჩნიე, რომ იქ დიდი ქვა კარგა დაზნექილა.

— მერე რაო?

— ისა, რომ თუ ქვას გაუთხრით მიწას ის ძირს დავარდება და შესავალი დაიხურება.

— ჩვენ ხომ ქვეშ მოვუვებით?

— სულაც არა.

— მე არა გამეგება რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგება სულ ადვილია. ძელია ხომ სულ ლამლამეობით მოდის ჩვენსკენ. მთელი დღე კი ჩვენ შეგვიძლიან ვთხაროთ მიწა, სანამ ქვა არ დაიწყებს რუკვას. მაშინ დავბრუნდეთ სახლში. როგორც კი მელია შემვრება ქვას ქვეშ, ჩვენ ფეხ აკრეფით გამოვიდეთ მეორე შესავლიდან და რაც ძალა გვქონდეს შევხტეთ ქვაზე, ის ვეღარ გაუძლებს ჩვენ სიმძიმეს და ზედ თავზე დაეცემა ჩვენ ბოროტ მტერს, მელიას და გასრესავს მას. რას იტყვი ამაზე?

— რა უნდა ვთქვა, ჩემო მვირფასო ბამბის ქულავ, მის მეტი, რომ შენ ფასი არა გაქვს. ხვალვე, გათენებისას, შევუდგეთ საქმეს.

### ბოროტი მტერის დასჯა.

ბუსუსა და ბამბის ქულა ისე გულ მოდგინეთ მოჰკიდეს მუშაობას, რომ საღამო ჟამს, როდესაც გაიმეორა მელია დაბრუნდა, ქვა შესამჩნევლათ ირეოდა.

მელიამ არაფერი ეჭვი არ აიღო და შემვრა, რომ განეგრძო თავისი მუშაობა, სოროსთან მისასვლელი გზის გაგანიერება.

ამას ელოდა ბუსუსა, ის გამოვიდა სოროდან თავისი ცოლით და ორივენი ერთბაშათ შეხტენ ქვაზედ და ერთი ორჯელ ახტენ და დახტენ ზედ. ქვამ თანდათან დაიწია ძირს. მელიამ გაიგო თუ არა ხმაურობა გამოვარდა. ამ დროს ქვა დაეცა სწორეთ მის კუდზე, მის მშვენიერ ბეწვიან კუდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ვერ გაუძლო ტკივილს და ერთი საშინლათ შეჰკივლა.

— ახია შენზე, მისმასა ბუსუსამ თავის სორო-ში დაბრუნებისას.—შე საძაგელო ქურდო! არ დასა-ცალებელო! მოგხვდა თუ არა? სწორეთ კარგათ მო-ვიგონეთ! „ახლა შენ თავს შენჯე უშველე,“ ასეთ რჩევას იძლევა ჰატარა თაგუნია.

ქვა მძიმე იყო. მელია დიდხანს თავს აქეთ იქით აწევეტდა, ვერა გზით ვერ გაენთავისუფლებინა თავისი საბრალო კუდი. ბოლოს მოიკრიფა უკანასკნელი ძა-ლა და გაინთავისუფლა თავი. მელიას ქვას ქვეშ დარჩა მხოლოთ კუდის ბოლო—ის კი ქვამ აღარ დაანება.

მელიასთვის მეტი სირცხვილი არ გაუჩენია ღმერთს, როგორც უკუდოთ დარჩენა. ამიტომაც მელია სრულე-ბით გადიკარგა არა თუ იმ ტყიდან, სადაც ეს ბაჭიები ცხოვრობდენ, არამედ მთელ იმ არემარედან.

ბუსუსა და ბამბის ქულა კი თავისი ჰატარა შვი-ლებით მას აქეთ მშვენივრათ და ბედნიერათ ცხოვრობდენ.

და როდესაც დადგა შემოდგომა, ნატვრა აუსრულ-დათ, ჰატარა ბაჭიები მთვარის შუქზე, ხშირ სურ-ნელოვან ბალახში ლაღობდენ, თამაშობდენ და კოტრი-ალობდენ.

**ან. წერეთლისა.**

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხის შვილები

(ზანგების ზღაპარი)

ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი და მარტოხელა დედა-ბერი, ის ძალიან დარდობდა, რომ მის ქოხში არ ისმოდა ბავშვების მხიარული სიცილ-კისკისი.

ერთხელ დედა-ბერი მივიდა ჯადოსანთან და უთხრა:

— მე მოწყენილი ვარ, რომ სახლში ბავშვები არა მყავს, დამდე სიკეთე, მამეხმარე, მიშოვე ბავშვები.

— კარგი, უთხრა ჯადოსანმა,—წადი სახლში, აიღე კალათები რამდენსაც მოერევი და მიდი ლეღვის ხესთან, გაავსე კალათები სის ნაყოფით, მიიტანე სახლში და მერე შენ სადმე შორს მიიმალე. როდესაც დაბრუნდები სახლში, მაშინ იქ ბავშვები დაგიხვდებიან.

დედა-ბერმა დაუჯერა ჯადოსანს და ისე მოიქცა, როგორც იმან დაარიგა და აი, როცა ის ბრუნდებოდა სახლში შორიდანვე მოესმა ხმა მაღალი ლაპარაკი და სიცილი, რამაც ძრიელ გააკვირვა დედა-ბერი. „ნეტა საიდან უნდა მოდიოდეს ეს ხმაო!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მიუახლოვდა თავის სახლს მთელი ხროვა ბავშვები გამოცვივდენ გარეთ მის მისაგებებლათ. ისინი ისეთი მშვენიერნი, ისეთი ნაზნი, სუფთანი, წითურნი და სუქანი იყვენ, რომ იმათ ნახვას არა შეედრებოდა რა. ყველანი ეალერსებოდენ დედა-ბერს, ყველანი ეხვეოდენ და უცინოდენ, როდესაც დედაბერი სახლში შეეიდა ნახა რომ იქაურობა დაგვილი, დაწმენდილი და დალაგებული იყო.

მას შემდეგ დედაბერი ყოველთვის მხიარულათ და კარგათ ცხოვრობდა; ბავშვები ყოველ ღონისძიებას ჰმარობდენ ესიამოვნებინათ მოხუცი და მუდამ გაისმოდა მათი ჟივილ-ხივილი.

მხოლოთ ერთხელ დედაბერი გუნებაზე არ იყო: უსაბუთოთ დაეწყო ბავშებს ტუქსვა-ჯავრობა, მოჭყვა ყვირილს და ლანძღვას; ბოლოს შეჭყვირა: თქვე მაიმუნის შვილებო. ამის გაგონებაზე ყველა ბავშვები მიჩუმდენ, მიიმალენ კუთხეში და ხმა გაიკმინდეს. ერთხელ, როდესაც დედაბერი გამოვიდა სახლიდან და გაემგზავრა თავის ნაცნობებთან. ბავშვები გარეთ გამოცვივდენ და ეცენ ლელვის ხეს, აფოფხდენ ზედ და უცბათ ხის ტოტებს შეებათ ნაყოფი.

დედაბერი რომ სახლში დაბრუნდა—აღარავინ დაუხვდა. მაშინვე საჩივლელათ ჯადოსანთან გაიქცა, მარა იმან უპასუხა:

— შენ თვითონა ხარ დამნაშავე, რატომ ვერ შესძელ მათთან მშვიდობიანათ ცხოვრება... ადი ლელვის ხეზე და შენ თვითონა სცადე ჩამოიყვანო ისინი. მე კი აღარაფერი აღარ შემიძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერმა წაიღო კალათი, მივიდა ხესთან, აფოფხდა ზედ—ის იყო უნდა მისწდომოდა ერთს ლეღვს და მოეწყვიტა, რომ ხის ტოტმა უცებ ძალიან გაიწია. მეორემაც ასე, მესამემაც და როდესაც ამან ერთს წააგლო ხელი ნაყოფმა ისეთი დაიკივლა და ტირილს მოჰყვა, რომ დედა-ბერმა გრძნობა დაჰკარგა და მეზობლებმა მომაკვდავი ჩამოიყვანეს ხიდან.

მას აქეთია დედაბერი ისევ მარტოთ მარტო ცხოვრობს თავის ქოხში.

**ვანო საათაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყარო

ელა-ნელა მორაკრაკებს
მოჩქრიალე წმინდა წყალი,
ქვებთა შორის მოსაუბრობს
და ცუდლუტობს მონარნარი.

მედიდურად დასეირნობს
ევავილთა და ბალახთ ჩრდილში
და უნედლებს ყველას ფესვებს
თანაც ჭკოცნის ყველას ძირში.

ევავილების რწყვას ათავებს,
მერე გასწევს ვენახებში,
იქ ჩაუვლის კოკობს ვარდებს
და ვაზების სძელ ძირებში.

გაახარებს ყველას გულსა
გაანედლებს ყველას ფესვებს,
შეაზავებს ყველას ფერსა
და შეასხავს მწვანე ფოთლებს.

ის კეთილი ყველას დედა—
შვილი არის დიდ სალ კლდისა,
სამარად კი მას უხდება
ზვირთი დიდი მდინარისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მდინარე ტალღის მსროლი
ისევრის წყაროს შუა წყალში,
და საბრალოს შეაქანებს
დაუნდობელს ლურჯსა ზღვაში.

ვალიკო გოგოლაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საოცარი ხელთსაფქვავი..

(ნორვეგიული ზღაპარი)

ველ დროში, რამდენიმე ასი წლის წინეთ, ერთ სოფელში, ზღვის პირად, ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსი ძმა შემლებული იყო, მას ჰქონდა დიდი მამული, ხელუხლებელი ტყეები, სახნავსათესი, მიწები, შინაური საქონელი და წვრილფეხი ბევრი ჰქონდა. უმცროსი ძმა კი ისეთი ღარიბი იყო, რომ ხშირათ ლუკმა პურიც კი ენატრებოდა, მაგრამ გულკეთილი და კარგი იყო, უფროსი ძმა მთელს სოფელში ითვლებოდა ბოროტ და ძუნწ კაცათ, რომელიც არას დროს არავის, რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო არავითარ დახმარებას არ გაუწევდა.

ერთხელ, ღარიბი ძმა მივიდა მდიდართან და სთხოვა მიეცა მისთვის ერთი ჩანახი ბრინჯი ან ფქვილი, რომ ფაფა მაინც მოეხარშნა და შიმშილი ცოტათი მაინც მოეკლა; ამისათვის მზათ იყო აესრულებინა ყველაფერი, რასაც ძმა დაავალებდა.

— კარგი, უთხრა მდიდარმა, მე შენ მოგცემ მთელ ლორს, მხოლოდ შენ ამისრულე რაც მე დაგავალო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიბი ძმა დათანხმდა, უფროსმა წაიყვანა იგი საკუჯნაოში, ამოიღო ლორი და მისცა.

— აი, წაიღე, უთხრა იმან, შენ და შენს ცოლს დიდხანს გეყოფათ ეს ლორი. მხოლოდ მომეცი სიტყვა, რომ სახლში მისვლამდის შეივლი ბებერ ტროლლთან, რომელიც ცხოვრობს გურენგერის მთის ხეობაში, და აჩვენებ იმას ამ ლორს.

შეშინდა ღარიბი ამ დავალებით, რადგან მიუვალ გურენგერის მთის შესახებ ბევრი საშინელი თქმულებები გაისმოდა ისე, რომ ბევრი იქით გავლასაც კი შიშობდა. გურენგერის ხეობის ერთს გამოქვაბულში ცხოვრობდა მთის მავნე სული, ტროლლი, თავისი მსლებლებით, რომელნიც შიშის ზარსა სცემდენ ყველას, ვინც გურენგერის სამზღვრებზე გაივლიდა.

უფროსმა ძმამ განზრახ გაგზავნა უმცროსი იმ საშინელ ადგილას, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოეშორებინა თავიდან ღარიბი ძმა და აღარ შეწუხებულიყო მისი ათასგვარი თხოვნებით.

— ბებერი ტროლლი არაფრის გულისთვის არ გამოუშვებს ცოცხალს ხელიდან, ფიქრობდა გაუმაძღარი ძუნწი ძმა,—და მაშინ მეც მოკისვენებ.

უმცროსი ძმისთვის ამ დავალების შესრულება ძალიან მნელი იყო, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა ერთხელ მიცემულ სიტყვაზე.

— კარგი, უთხრა უმცროსმა,—მე არ გადუვალ ჩემ სიტყვას, შევივლი ტროლლთან და ვაჩვენებ შენ

ხაჩუქარს. თუ ვინცობაა რამე უბედურება დამემართოს, შენ სვინდისზედ მოძინდვია!..

— კარგი, კარგი, გაიცინა უფროსმა ძმამ, მე და ჩემი სვინდისი როგორმე მოვრიგდებით!..

ღარიბმა აიღო ლორი და გაუდგა გზას.

დიდხანს მოუხდა სეტიალი ტყე-ღრეში და ბოლოს ძლივს ძლივობით მივიდა გურენგერის მთაში. გამოქვაბულის კარებთან იდგა ერთი ჰატარა ტანის ბერიკაცი და შეშას აჰობდა.

— საიდანა ხარ და რა გინდა აქ? ჰკითხა ბერიკაცმა ამ ღარიბ კაცს.

— მე მსურს დავათვალიერო გურენგერის მთები, უპასუხა ამან, არ ვიცი ეს არის თუ არა?

— ჰო, ეს არის გურენგერის მთები, უპასუხა ბერიკაცმა, მხოლოდ გაფრთხილდი. ამ გამოქვაბულში ცხოვრობს ავი სული ტროლლი, თავისი მხლებლებით... ისინი არავის გაატარებენ ამ არე-მარეზე!

— მე კი მსურდა თვითონ ის ტროლლი მენახა!..

ბერიკაცმა თავი გაიქნია და თქვა:

— მომწონხარ შენ და მებრალები რომ მიდიხარ მასთან დასაღუპავათ. დამიგდე ეური და მოისმინე ჩემი დარიგება, იქნება აგცდეს განსაცდელი!.. გესმის, კეთილო ადამიანო, როგორც კი შეხვალ გამოქვაბულში ტროლლთან, იქ გარს შემოგეხვევიან ტროლლები და დაგიწყებენ ლორის თხოვნას, რადგან ტროლლებს საშინლათ უყვართ ბოლში გატარებული ხორცი... მე გირჩევ, არ მისცე ლორი უსაჩუქროთ!.. და როდესაც ბებერი ტროლლი გკითხავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდა რომ მოგცე საჩუქრათო, შენ მაშინ სთხოვე მე ძველი ხელთსაფქვავი, რომელიც შესავალ კარებთან დგას... და როდესაც მოგცემს მე გასწავლი, როგორც უნდა მოიხმარო, დამიჯერე, ის საკვირველი ხელთსაფქვავი უფრო ძვირფასია, ვიდრე ეგ ლორი!..

ღარიბმა მადლობა გადაუხადა უცნობ ბებერს და შევიდა გამოქვაბულში.

შესვლისთანავე ამას გარშემო შემოესვივენ საძაგელი სახის ავი სულები. ტროლლები სუნავდენ და ხელებს უსვამდენ ლორს.

— ტუუიღათ, ტუუილათ სუნავთ, უთხრა ღარიბმა-კაცმა,—მე ამ ლორს არაფრის გულისთვის არ მოგცემთ, ეს უნდა წაუღო ჩემ ცოლს საჩუქრათ.

— იქნება გაიმეტო და ჩვენ მოგვიდო, დაუწყეს ხვეწნა ტროლლებმა,—აბა, თქვი რა გიღირს?.. თქვი, რა მოგცეთ ლორში?

— მაშ, თუ ეგრე ძლიერ გინდათ ყიდვა ამ ლორისა და ადარ მეშვებით, უთხრა ღარიბმა,—მაშ მოგეცით ხელთსაფქვავი, რომელიც კარებს უკან უსაქმოთ გიგდიათ. ჩემი ცოლი დიდი სანია ნატრულობს მაგისთანა ხელთსაფქვავს.

— ის არაფრის გამოსადეგია, გაჯავრებით უპასუხა ბებერმა ტროლლმა,—რა საჭიროა ეგ შენთვის? სხვა რამე ითხოვე?..

— არა, მე სწორეთ ეგ მსურს, დაჟინებით უპასუხა ღარიბმა-კაცმა,—არ გინდათ, ნუ გინდათ, წავიღებ ლორს სახლში, მორჩა და გათავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰუმ!.. გაიქნია თავი ბებერმა ტროლლმა,—რო-გორი თავნება კაცი ეოფილსარ! საქმე იმაშია, რომ მე თითქმის იმითი ვარ ავათ, რომ დიდი სანია არ მიჭამია ლორი, და აგრეთვე ეველა ჩემს ხელქვეი-თებს. მეტი ღონე არ არის!.. წაიღე ის მველი ხელთსაფქვავი, სულ ერთია არაფერში გამოგადგება და მალე გადააგდებ სანაგვეზედ!.. წაიღე ჩქარა და წაეთრიე აქედან, ჩვენ არ გვიეკვარს ადამიანები!..

ღარიბმა კაცმა საჩქაროთ წამოავლო ხელი საფ-ქვავს, და გამოვიდა გამოქვაბულიდან.

აქ მას დახვდა ისევ ის ბებერი კაცი, რომელ-მაც უთხრა:

— კარგია, რომ ჩაიგდე ხელში ეგ ხელთსაფქვავი. აი, რაშია საქმე: ეს დადგი აი ასე და უთხარი «დაფქვი წისქვილო ესა და ეს», ის რაც შენ მოი-სურვო და ეველაფერი შენს ხელთ იქნება! როდესაც დაეენება მოისურვო, მოაბრუნე ჩრდილოეთით და უთხა-რი: „საფქვავო კმარა!“ და ისიც შეაეენებს მუშა-ობას!..

გაეხარდა ღარიბს, გადუხადა მადლობა ბერი-კაცს და გაეშურა საჩქაროთ სახლისკენ, რადგანაც გზა გრძელი ჰქონდა; ღარიბი კაცი მხოლოდ შუა ღა-მისას მივიდა სახლში.

— აბა, დედაკაცო, მხიარულათ უთხრა თავის ცოლს,—ღღეს ბევრი გალოდინე, მაგრამ სამაგიეროთ ისეთი საჩუქარი მოგიტანე, რომ მთელი ჩვენი სი-ცოცხლე ბედნიერათ ვიქნებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებთან ერთად მაგიდაზედ დადგა ხელთ-საფქვავი და უთხრა:

— აბა, დამიფქვი, წისქვილო, რამე გემრიელი საჭმელი!...

— ოჰ, საკვირველებავ! იმავე წუთში საფქვავიდან იწყო გადმოსვლა ერთი-მეორეზე გემრიელმა საჭმელებმა: ძეხვის კუპატებმა, ჩახოხბილმა ქათმებმა, შემწვარმა ბატკანმა, ერთი სიტყვით რა გინდა გულო და სულო!..

საბრალო დედაბერი გაშეშდა ამ სანახაობით. თვალებს არ უჯერებდა.

— ჰა, სედავ, დედაკაცო რა მოგიტანე? კარგია თუ არა?... ესლა დაივიწყე ოთველივე ნაღველი, იცხოვრე შენთვის მშვიდათ, საფქვავი გვაცხოვრებს ჩვენ უდარდელათ სიკვდილამდის!...

ჯამეს და სვეს ღარიბებმა, გაძღენ და შემდეგ გაამეორებინეს საოცარ ხელთსაფქვავს საჭმელების ფქვა, ისე რომ დილის საუზმესთვის ქოხში ოთველგვარი საჭმელი იყო ასი კაცის სამყოფი; მაშინ ღარიბი კაცი წავიდა თავის მეზობლების სადილათ დასაპატიჟებლათ და გაჩაღდა დიდებული ნადიმი... გაიგო თუ არა ეს უფროსმა მდიდარმა ძმამ, მაშინვე გაჰქანდა ღარიბთან.

— საიდან გაქვს შენ მაგდენი ფული?... ჰკითხა უფროსმა, — ჯერ კიდევ გუშინ მევედრებოდი დახმარებას, დღეს კი დაგიპატიჟნია მთელი სოფელი და ისიც ძვირ იშვიათ საჭმელებზედ.

ღარიბმა უამბო, როგორ იმოვნა ტროლლისაგან საკვირველი ხელთსაფქვავი რომელიც აძლევდა ოოველ-ლისფერს რასაც კი მოითხოვდენ.

— აი რაში ეოფილა საქმე! — თქვა მდიდარმა, — მომეიდე მაშ მე ეგ ხელთსაფქვავი.

იფიქრა, იფიქრა ღარიბმა და ბოლოს დასთანხმდა მიეეიდნა ათას ოქროთ; მხოლოდ ჰირობით ღარიბმა ხელთსაფქვავს რამდენიმე წლის საზრდო დააფქვევინა. უფროსმა მმამ აიღო ეს საკვირველი ხელთსაფქვავი და გაიქცა სახლში, მხოლოდ უმცროს მმას კი არ უთქვამს მისთვის, როგორ უნდოდა მისი გაჩერება.

მივიდა უფროსი მმა სახლში და თავისი ცოლი განმრახ გაგზავნა ტეეში, ვითომ და იმის სანახავათ, თუ როგორ სჭრიდენ მუშები შეშას; როცა ცოლი მოიშორა დადგა ხელთსაფქვავი მაგიდაზედ და უთხრა:

— აბა მომართვი, საფქვავო, რძის ფლავი და ძესვის კუპატები.

ეს იეო იმისი საევარელი საჭმელები...

ტარის მოტრიალებაც კი ვერ მოასწრო, რომ საფქვავმა იწეო რძის ფლავის და ძესვის კუპატების გადმოწეობა. ჯერ გაივსო რაც კი რამ ქილები, ქვაბები, თეფშები, ჭათლაფები და ბოჩკები იეო სასლში, მერე რძის ფლავმა იატაკზედ იწეო დენა, ისე რომ ძუნწი მდიდარი შეკრთა. უკვე მთელი ოთახის იატაკი სავსე იეო რძის ფლავით და სულ მაღლა, მაღლა მიდიოდა, მთელი ოთახი ივსებოდა. იქამდის მივიდა, რომ მდიდარს მუსლებამდის მიადგა, — მარა საფქვავი მაინც არ ჩერდებოდა... უკვე ძუნწს რწის ფლავი ყელამდის

მიადგა, აქ კი მიხვდა, რომ მას მოელოდა დახრჩობა რძის ფლავში. ძლივს ძლიობით გააღო კარი და შეშინებული გამოვარდა გარეთ, — გაიქცა, მაგრამ ქუჩაშიაც კი რძის ფლავის და ძეხვების ხვავი გაჭეკა...

შეშინებული მდიდარი მივარდა თავის ძმასთან.

— გააჩერე საფქვავი!... — დაუყვირა კარებიდან. — თორემ ცოტაც, და მთელი სოფელი და მინდვრები ჩაიფლება რძის ფლავში და ძეხვის კუპატებში.

— მერე რას მომცემ გაჩერებაში?... ღიმილით ჰკითხა ღარიბმა ძმამ.

— წაიღე კიდევ ათასი ოქრო, — ხომ არ დავიღუპები მთელი ჩემი ქონებით მაგ ჯადოსან საფქვავის გამო!...

ღარიბი ძმა გაიქცა მდიდრის სახლში, მოაბრუნა საფქვავი ჩრდილოეთისაკენ და უთხრა:

— კმარა, საფქვავო, გაჩერდი!

საფქვავი მაშინვე გაჩერდა და მდიდარმა თავისუფლათ ამოისუნთქა...

ახლა ღარიბ ძმას ფულიც ჰქონდა და ძვირფასი ნივთიც, საოცარი ხელთსაფქვავი. წიწუეს ცოლქმარმა მშვენივრათ ცხოვრება!..

ბევრს ლაპარაკობდენ ქალაქებში და სოფლებში ამ საოცარ ხელთსაფქვავზე; ეს ამბავი შეიტყვეს სხვა სახელმწიფოებმაც, და ერთხელ ღარიბს მოადგა გემით ერთი მარილით მოვაჭრე.

— მითხარი, — მიმართა მან გლეხს, — შეუძლია თუ არა შენს ხელთსაფქვავს მარილის დაფქვა?...

— რა თქმა უნდა, რამდენიც გსურთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ მომეიდე... ალარ დამჭირდება აქეთ-იქით მარილის ზიდვა!

გლეხმა მიჭეიდა საოცარი ხელთსაფქვავი ორ ბარკ ოქროთ და ზედ ძვირფასი თვლებიც დაამატებინა. ვაჭარმა წაიღო საფქვავი და გაუდგა გზას. დასდგა თუ არა გემზე საფქვავი იმსაათშივე უბრძანა ეფქვა მარილი,—და მალე მთელი გემი გაივსო მარილით, —მერე ის საფქვავი ჩაიტანეს ქვემოთ, მაგრამ იქაც გა-ნაგრძობდა მარილის ფქვას, ისე რომ არ იცოდენ სად წაეღოთ ამდენი მარილი და არც იცოდენ სა-ფქვავის გაჩერება... ბოლოს და ბოლოს გემზედ იმ-დენი მარილი მოგროვდა, რომ გემმა იწყო ჩაძირვა და მეზღვაურებმა ნავებით ძლივს მოასწრეს თავის გადარჩენა...

გემი ჩაიძირა ზღვაში და მასთან ერთად დაიღუპა საკვირველი ხელთსაფქვავიც; ის ზღვაში დღესაც ფქვამს და ფქვამს მარილს და ამიტომაც არის ზღვის წყალი ძლაშე.

**ვანო საათაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქროს კალმის ამბავი

ერის გაკვეთილია; მასწავლებელი მაგიდასთან ზის, ფეხები მაგიდის ქვეშ უწევია, დრო გამოშვებით ამოქნარებს, ეტყობა მოსწყენია თვალ-ყურის დევნება ბავშვებისა, რომელნიც სხედან და გულმოდგინეთ სწერენ: ზოგი სახებს, ზოგი ჯოხებს და ზოგი კიდევ რგოლებს: თითქმის დაწოლილნი არიან, ხვნეშიან, რაც ძალი და ღონე აქვთ აჭერენ კალმებს, ზოგი ცხვირს და ენასაც მიიშვერებს ხოლმე. ვინც დაიღალება ისვენებს: ფანჯარაში იცქირება, თვალს ადევნებს გა-მვლელ-გამომვლელს, ცდილობს გამოიცნოს მეეტლემ საითკენ გააქროლა ეტლი, ან კიდევ მისჩერებია ჭერში ბუზებს.

— ვასო, რათ აწრიპინებ აგრე კალამს და რათ ითხუპნები მელნით?

— კალამი არ ვარგა, მასწავლებელო, ძველია!

— ეს, ჩემო კარგო! ბატის ფრთის კალამი ხომ არ არის, რომ აგრე აწრიპინებ? განა ძვირია კალამი, იეიდე ახალი.

— წუვილი კაპეიკია.

— მასწავლებელო! განა მართლა შეიძლება ბატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთის კალმით წერა? თქვენ ხუმრობთ, ვასო კი მაჯერებს მართალია.

— მართალია! მე ბატის კალმით ვისწავლე წერა, რომ იცოდეთ რა ხმაურობა და უსიამოვნო წრიპინი იყო მაშინ კლასში წერის დროს.

მოწაფეებმა სიცილი ასტეხეს. ზოგმა განგებ ააწრიპინეს კალმები, ვითომ ბატის ფრთითა სწერდენ.

— მასწავლებელო, გვიამბეთ როგორ აკეთებენ ფოლადის კალმებს, სთხოვეს ბავშვებმა,—ვინ გამოიგონა ეს კალმები პირველათ?

— გეტყობათ, ჩემო ცელქებო, მოგბეზრდათ წერა! —უთხრა მასწავლებელმა.

— დავიღალეთ, დავისვენებთ! გვიამბეთ მაგაზე რამე! ასმაურდენ ბავშვები.

— კარგი, დაწუნარდით! ეხლავე გიამბობთ! კალმები ერთმა გერმანელმა წერის მასწავლებელმა გამოიგონა...

— მართლა! მართლა!..

— გეუბნებით მართალია, მის უწინაც სინჯეს სხვა და სხვა ლითონისაგან კალმების გაკეთება, ვიღაც გერმანელი 1544 წელს აკეთებდა სპილენძის და რკინის კალმებს. მეორე გერმანელმა კიდევ მოიგონა 1778 წელს სხვანაირი კალამი, რომელსაც ჩვენ ფულზე ცხრა მანეთად ჭეიდდენ.

— ოქროს ფასზე მეტათ ღირებულა! განა ასე ძვირი იყო?

— სწორეთ, აგრე ძვირი იყო. ეხლანდელი კალმებიც გერმანელმა, გვარათ ბიურგერმა, მოიგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო მართლ-წერის მასწავლებელი კენისბერგში. მან სწორეთ თავის საუბედუროთ გამოიგონა ეს კალმები.

— როგორ საუბედუროთ? დაეკითხენ ბავშვები.

— დიაღ, საუბედუროთ. აი, ასე იყო: ბიურგერი დიდ ხანს იყო მართლ-წერის მასწავლებლათ, ბევრი წლები იჯდა ის კლასში და ასწავლიდა წერას თქვენისთანა ცელქ უმაწვილებს. ბატის ფრთისაგან უჭრიდა მათ კალმებს იმ ჰატარა დანით, რომელსაც კალმის საჭრელი დანა ეწოდებოდა. ბიურგერს ძრიელ მოსწყინდა მუდამ კალმების ჭრა და ბევრი ფიქრის შემდეგ გამოიგონა კალმების საჭრელი მანქანა. სწორეთ მაშინ ჩავარდა უბედურებაში. კალმით მოვაჭრეებმა გაილაშქრეს ბიურგერის წინააღმდეგ. რადგან ერთი ბატის ფრთისაგან ამ მანქანით ბიურგერი 4—5 კალამს სჭრიდა. ეს რასაკვირველია არ მოეწონათ მევაჭრე ვაჭრებს. მერე კიდევ უფრო გადაეტერენ, როდესაც მან მოიგონა ფოლადის კალმები. ბიურგერს არ ჰქონდა იმდენი შეძლება რომ ესარგებლნა კარგათ თავისი გამოგონებით და ამისთვის ვაჭრებმა ნამეტანი დაჩაგრეს, გაუჭირეს საქმე.

— როგორ? რა უყვეს?

— დაუწყეს მტრობა: სდევნიდენ, არ ასვენებდენ და საწყალი კაცი ჭკუაზე შეიშალა. შეშლილს კი ვინღა მისცემდა გასაწრთვნელათ შვილს და ამ ნაირათ ბიურგერი გაღარიბდა, დაგლასავდა. მის მოგონებით კი ისარგებლა ერთმა მდიდარმა ინგლისელმა. ამან გასხნა ქარხანა ქალაქ ბირმინგამში და ძრიელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამდიდრდა. ამ გვარად გამდიდრდენ ბევრი სხვებიც. საწყალი ბიურგერი სიბერის დროს შეშლილი დასეტიალობდა ქუჩებში. მას სამადლოთ ამლევდენ გასაყიდათ ინგლისურ ქარხნებიდან გამოსულ კალმებს მისგანვე გამოგონილს.

— ახლა კი გიამბობთ, როგორ კეთდება კალმები,— განაგრძო მასწავლებელმა, ის მივიდა დაფასთან და დასატა შემდეგი სურათი.



კალმებს მანქანების მეოსებით აკეთებენ ქარხნებში, სადაც მიიტანენ ფოლადის დიდ ფურცლებს, ამ ფურცლებს სჭრიან გრძელ ზოლებათ და როგორც აქ არის ნაჩვენები მანქანით ამოსჭრიან კალმის მზგავს ნაჭრებს, მეორე მანქანა ამ ნაჭრებზე ნახვრეტებს ამოსჭრის და აქეთ იქით გვერდებზე კალთებს გაუკეთებს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ კალამი უფრო მოქნილი იყოს და კარგათ იღუნებოდეს. ამის შემდეგ სხვა მანქანით დაასმენ დაღს, ნომერს. მერმე კალმებს ახურებენ ჭურჭლებში და იგივე მანქანა ღუნავს ფოლადს და მიაგვანებს ნავს. ბოლოს კალამი უნდა გამაგრდეს და შუა ადგილას გრძლათ ამოიჭრას. ამისათვის მთელ გროვა კალმებს ჭურჭელში ძლიერ ახურებენ, სანამ კალმები არ გაწითლდებიან, მერე მათ ჩაჭერიან ზეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რანაირ ზეთში? მიაძახეს ბავშვებმა,—სამარხო, თუ სახსნილო ზეთში?

— ნამდვილათ არ ვიცი რომელში, მგონი ზეითუნის ზეთში. კალმები ზეთში გამაგრდებიან, მერმე ჩაჭერიან მათ ერთნაირ რკინის ჭურჭელში ნახერხთან ერთად, დასდგამენ ხელ-ასლა ცეცხლთან და ახურებენ. თუ უნდათ მაგარი კალმები გამოვიდეს ნაკლებათ იჭერენ ცეცხლზე, თუ უნდათ უფრო რბილი კალმები—დიდ ხანს ახურებენ; ამ დროს კალმებს ზეთი შორდება და კალმები რბილდება. მაშინ ჭურჭელში ჩაჭერიან ქვიშას და კალმებს ატრიალებენ, კალმები ეხახუნება ქვიშას, ელვარდება და სუფთავდება. მერე კალმებს სალესავზე წვერებს ულესავენ. სხვანაირი მანქანით ამოსჭრიან გრძლათ ზოლს და ლაქით სხვა და სხვა ფერათ შეღებავენ: ლურჯათ, შავათ, ოქრო და ვერცხლის ფრათ და ამ გვარათ მომზადებულ კალმებს ალაგებენ ქაღალდის კოლოფებში, გააქვთ გასაყიდათ და ათასობით თქვენისთანა შეგირდები ყიდულობენ და სწავლობენ წერას. მაშ ნუ დაივიწყებთ, ბავშვებო, საწყალ ბიურგერს, რომლის გამოგონების საშუალებით ადვილათ სწავლობთ წერას.

ამ სიტყვებით დაასრულა მასწავლებელმა კალმებზე საუბარი, ზარს დაჰკრეს და ბავშვები ქიკილ-ხივილით აიშალენ.

(თარგმანი) **ია ნაკაშიძე.**

## გამოცანები.

(წარმოდგენილი ან. კაპანაძესაგან)

ევი ევისა, ფერი მდევისა,
ხტომა ვეფხისა, ხმა ზურაბისა.

—

თავი ბუს უგავს, ფეხი ჩალასა,
ნახტომი მდევის ჭალასა.

—

ჰაი ალებიანი, ჩიბუხ-ტარებიანი,
დღე იმალებიან, ღამე გამოდიანო.

---

## გეოგრაფიული ამოცანა.

(წარმოდგენილი ვასო ფეროაძის მიერ).

ავიღოთ შემდეგი სიტყვები:
სოფელი ქართლში (9 ასოსაგან)
დაბა რაჭაში—(3 ასოსაგან)
დედა ქალაქი კახეთში (6 ასოსაგან)
მდინარე კახეთში (4 ასოსაგან)
ამ სიტყვების პირველ ასოებისგან შეადგინეთ საქართველოს ძველი ქალაქის სახელი, რომელიც შავი ზღვის პირად ძევს.

---

## შარადა.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძესაგან)

პირველი არის ფრინველი,
დაფრინავს მარტო ღამითა,
დღისით ვერ ხედავს სრულებით,
ვამოიცნობა ამითა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე—არის პირუტყვი
ულელს აბია ხშირათა,
ყველა გლეხს არ ჰყავს, რადგანაც
უჯდება ისა ძვირათა.

რომ შეაერთოთ ორივე
გამოვა სახლის ნაწილი,
ნუ სდგები, გამოიცანი,
თუ ხარ შენ მარდი ყმაწვილი!

## რ ებ უ ს ი.

(მისგანვე წარმოდგენილი)




გამოცანები: ჭინჭველა, ხბო, ძროხა და მისი ტყავი.
რებუსი: ორი ცხვირი კარგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დედის ალერსი.

ესე, ასე
იკასკასე
დატანჯული დედის გვრიტო,
გაფურჩქნულის,
გაზაფხულის
სხივთა კონავ, მარგალიტო.

* * *

იტიკტიკე,
ილიკლიკე
მომხიბლავათ, ენა-ტკბილათ
ინეტარე,
გაიხარე
ჩემს ოცნების ნაზ ყვავილათ.

* * *

მაშ, მაშ ასე
იკასკასე
საყვარელზე საყვარელო,
შვება მფინე,
მომალხინე
ფიქრებიდან განუყრელო.

**დ. თურდოსპირელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ხლოია

(დასასრული).

ეიგო თუ არა ლეომ ფლაბიას ხმა, ჯაჭვის ჩხარუნით გამოვარდა ქოხიდან და გაიწია ცხენებისკენ.

— სუ, ლეო, დაწყნარდი! მიუბრუნდა მას ხლოია—ესენი შინაურები არიან! ლეო მაშინვე დამშვიდდა და ისევ თავის ქოხში შეძვრა.

— თქვენს ბრძანებას ველი, ქალბატონო! რას მიბრძანებთ, მოახსენა ხლოიამ.

ფლაბიამ მიუთითა თავის გულის ძეწკვზედ. ჩამავალ მზის სხივებზედ ტურფათ ელვარებდენ ძვირფასი თვლები.

— ხედავ ამ ძეწკვსა? მიუბრუნდა იგი ხლოიას,—სწორედ ათის წუთის წინ ამ ძეწკვზე ესხა ხუთი ბრილიანტი, და ახლა კი, როგორც ჰხედავ, ოთხი ღა შერჩენია. ყველაზე დიდი ბრილიანტი აკლია, ის აქვე დამკარგვია სადღაც. წადი და მოძებნე. უეჭველად უნდა იპოვნო. მე აქ დაგიცდი.

— მერე შენი ცხენები, ქალბატონო?—შეეკითხა ხლოია, —ლეომ არ დააფრთხოს!

— აი! მიუგო ფლაბიამ. აღვირს ხელი მიანება, გადმოხტა ეტლიდან და ნელა გადაჰკრა ცხენებს პატარა შოლტი. ცხენები დაიძრენ და წავიდენ საჯინიბოსაკენ.

— ესენი თითონაც კარგად გაიგნებენ გზას, სთქვა მან.

პატარა მონა გაეჩქარა ბრილიანტის მოსაძებნათ, ის ეტლის კვალს მიჰყვა, გადაათვალიერა ყველა ბუჩქი, ყველა კუთხე; ეძებდა და თან ამბობდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უფალო, იესო ქრისტე, მიშველე და მაპოვნინე! მასწავლე, სად და როგორ უნდა ვძებნო, რომ ვიპოვო ჩემი ქალბატონის ბრილიანტი! მაგრამ ცდამ და ძებნამ ტყუილათ ჩაუარა, მან ვერ იპოვნა ბრილიანტი და ხელ ცალიერი დაბრუნდა ქალბატონთან.

— რა ჰქენი? ჰკითხა მას ქალბატონმა, — იპოვე?

ხლოიამ დამნაშავესავით ჩაღუნა თავი.

— ვერა! შენი ბრილიანტი არსად არის.

— საძაგელო, ზარმაცო! შეჰყვირა ფლაბიამ, — შენ, ალბად, ძებნის მაგივრათ, მწვანეზედ სირბილს მოანდომე დრო!

ფლაბიას იჭვი შეეპარა ხლოიაზედ.

— იქნება შენ იპოვე კიდეც ჩემი ბრილიანტი, განაგრძო მან, — მაგრამ არ გინდა მომცე, გინდა მიითვისო?

ხლოიას უცბათ ძლიერი სიწითლე მოედო ჩაყვითლებულს, მზისაგან დამწვარს სახეზედ.

— ტყუილათ მაბრალებ მაგას, ქალბატონო, მიუგო მან, და შეურაცხოფისაგან გამოწვეულმა ცრემლებმა აუვსეს თვალები, — მე ჩემს დღეში არ მიქურდნია!

სიბრაზისაგან ფლაბიას საშინლად შეეცვალა სახე.

— დაჩუმდი, შე გველის წიწილო! დაუყვირა მან — როგორ ბედავ შენს ქალბატონთან მაგ კილოთი ლაპარაკს? ხვალვე ვუბრძანებ, რომ ჩაგაგდონ ტომარაში, მოჰკრან პირი და გადაგაგდონ ზღვაში!

— შენი ნება გახლავს, ქალბატონო! წყნარად უპასუხა ხლოიამ, — მაგრამ მე მაინც არ მომიპარავს შენი ბრილიანტი!

გაბრაზებულმა ფლაბიამ ველარ შეიკავა თავი. მოიქნია შოლტი და, რაც ძალა ჰქონდა, გაჰკრა ყმაწვილს პირისახეზედ. წვრილი წითელი ზოლი დაჩნდა საწყალს ყმაწვილს შუბლსა და ლოყაზედ, და გაჭრილი ტუჩიდან სისხლი გადმოთქრიალდა.

— ეგეც შენ, ურცხვო გოგოვ! დაუყვირა ფლაბიამ, და ხელმეორედ მოუქნია შოლტი, მაგრამ ამ დროს, ძლიერი მოძრაობის გამო გადიხსნა იმისი კაბის ერთი ნაკეცი და იქიდან გადმოგორდა დაკარგული ბრილიანტი. ეს რომ დაინახა რომაელ კეთილშობილმა ქალმა, ტუჩები მოკუმა, და, ცოტა არ იყოს, შერცხვა კიდეც თავისი საქციელისა, მაგრამ დედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუძუსთან შეთვისებულმა სიამაყემ ნება არ მისცა, რომ ცოტა რამ გულკეთილობა გამოეჩინა, და ამისათვის მედიდურათ შეუბრუნა ზურგი და ბრძანების კილოთი უთხრა:

— ახლა შეგიძლიან შეეთრიო ძაღლის ქოხში!

ხლოია შეძვრა ქოხში, ორივ ხელები შემოხვია ძაღლს კისერზედ და მოჰყვა მწარეთ ტირილს. რამდენიმე ხნის შემდეგ ტირილით მოქანცულს ჩაეძინა. შუალამე იქნებოდა, როცა ის ლეოს მოუსვენარმა ღრენამ გამოაღვიძა. მან თავი გამოჰყო ქოხიდან და რაღაცა უცნაური, საშიში ჩრდილები შენიშნა, რომლებიც ბაღში მოძრაობდენ. ისინი ჩუმათ, რაღაცა ნიშნების ჩვენებით, მიეშურებოდენ ბუჩქებში და ბატონის სასახლისკენ ჰქრებოდენ. ხლოია კარგად დააკვერდა მათ და იცნო, რომ ისინი მონები იყვენ. ძალიან მოუნდა ამ მისვლა-მოსვლის მიზეზის გაგება, გამოძვრა ქოხიდან, დაამშვიდა ლეო და ფრთხილად, ფეხ-აკრებით მიჰყვა მონებს შორიახლო. ისინი გავიდენ ეზოდამ, მიმართეს საცეხვავ ფარდულს და ჩუმათ შევიდენ შიგ. ცოტა ხნის შემდეგ ხლოიამ დაინახა ფარდულში შუქი და იქიდან შემოესმა ხმაურობა. მან მოურბინა უკანიდან, მიაგნო კედელში ნაჩვრეტს და დაიწყო ცქერა. ამ დიდს ფარდულში ყველა მონებს მოეყარათ თავი. ისინი ცხარედ ლაპარაკობდენ რაღაზედაც, ერთი ერთმანეთს არ აცლიდენ, ამიტომ ყაყანის მეტი არა ისმოდა რა.

— სტიქმა! სტიქმა! დეე, სტიქმა ილაპარაკოს! ყვიროდენ ისინი,—ჩვენ გვინდა სტიქს მოუსმინოთ!

სტიქი შედგა გადმობრუნებულს ყუთზედ და დაიწყო ლაპარაკი. ხლოიამ ვერ გაიგო რასა ლაპარაკობდა სტიქი. ერთი მონათაგანი ზურგით მიეყუდა სწორედ იმ ადგილას, საიდამაც ხლოია იცქირებოდა, და ამიტომ ვერ არჩევდა სტიქის სიტყვებს. მხოლოდ ბოლოს, როდესაც მონები აღელდენ და ამოძრავდენ, ხლოიამ ცხადათ გაიგონა უკანასკნელი სიტყვები.

— ამხანაგებო! ამბობდა სტიქი—ჩვენ შევიტყეთ, რომ ხვალ ზოგს ჩვენგანს ჩაგვტენენ ტომრებში და პირ მოკრულ-ტომრებით გადაგყვრიან წყალში; ზოგს გაგვზავნიან რომში და იქ, ცირკში, წარჩინებულ რომაელების თვალწინ, მათ შესაქცევრათ, გარეულ მხეცებს დაგვაგლეჯინებენ; ზოგს კიდევ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვგზავნიან კლდის სამტვრევად და პაპანაქება მზის სიცხეში სულს ამოგხვდიან! რით უნდა გადუხადოთ ჩვენ ბატონს ეს ბოროტება?

— მიუტევოთ! უპასუხა მონების გაქრისტიანებულმა ნაწილმა,—მოვითმინოთ ბოლომდინ! უფალმაც ჩვენმა ბევრი მოითმინა და ბოლოს ჯვარზედ განუტევა სული თვისი!

— სიკვდილი! სიკვდილი ლიცინი კლაროს! შეჰყვირა წარმართთაგან შემდგარმა მეორე წრემ.

— მივუტეოთ! მივუტეოთ! ქრისტემ გვასწავლა და გვიანდერძა ჩვენ ჩვენთა მტერთა მიტევება!

— სიკვდილი! სიკვდილი! თვით ღმერთები გვიბრძანებენ ჩვენ შურის ძიებას!

— ამხანაგებო! კენჭი ვყაროთ! მოისმა ხმა-მალალი სიტყვა სტიქისა,—ყველამ ჩვენგანმა კენჭით გამოაცხადოს თავისი აზრი, სიცოცხლე, თუ სიკვდილი, და რომელ მხარემაც დასძლიოს რიცხვით, ისრე მოვიქცეთ.

— კენჭი! კენჭი! ყვიროდა ყველა.—ამხანაგებო, ვუყაროთ კენჭი!

ხლოია სულ განაბული ადევნებდა თვალს კენჭის ყრასა, უნდოდა გაეგო, რით გათავდებოდა იგი.

— ვინც მიტევებას თხოულობენ, მათ მარცხნივ დადონ კენჭები! შეჰყვირა სტიქმა.

მონები მაშინვე ორს ჯგუფად გაიყვენ და დაიწყეს კენჭის ყრა მარცხნივ და მარჯვნივ.

— ახლა დავთვალოთ კენჭები! დაიყვირა სტიქმა.

დაიწყეს კენჭების თვლა. ხლოია ისრე იყო განაბული, რომ თავის გულის ცემა ესმოდა; გრძნობდა, რომ ეს-ეს არის გამოეცლება ძალ-ღონე და გულ-შემოყრილი დაეცემა ძირს. თავის მოკლე სიცოცხლეში პირველათ ჰხედავდა მონების კრებას, სადაც ამისთანა საშინელი საკითხი უნდა გადაეწყვიტათ.

—სიკვდილი! დაიძახა ბოლოს სტიქმა, როცა კენჭის თვლა გაათავა.— ჩვენს ბატონებს სიკვდილი მიესაჯათ!

— სიკვდილი ლიცინი კლარსა! დაიგრიალა ბრბომა და გამოვიდა.

— სიკვდილი მისს ქალს ფლაბიას! დაუნდობლათ! შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალებლათ! წარმართი მონები გაიფანტენ ბაღში და სხვა და სხვა მხრით მალვით გასწიეს სასახლისაკენ, ქრისტიანი მონები კი წავიდენ თავიანთ სადგომებში. პატარა ხლოია დაბრუნდა ძაღლის ქოხში, იქიდან გამოჰყო თავი და საშინელი მღელვარებით დაიწყო თვალიერება და ყურის გდება.

ბევრი ხანი არ გასულა, რომ სასახლიდან შემოესმა ყვირილი.

— სჩანს ისინი ახლა იქ არიან და ხოცვენ ბატონსა და ქალბატონსა! წამოიძახა მან.

მოისმა ძლიერი ხმაურობა და მას მოჰყვა საშინელი კვნესა-ოხვრა. შეამტვრიეს შესავალი კარი და დაუწყეს ხოცვა ბატონის ერთგულს, ხელზედ მოსამსახურე მონებს, რომელნიც მათ უძალადებოდენ. ფლაბიას ჯერ არ ეძინა. ის ჰფიქრობდა იმ უსამართლობაზედ, რომელიც მან უბედურს ხლოიას შესახებ გამოიჩინა. ბავშვმა როგორ აიტანა ისეთი მოთმინებით იმისი შოლტი? რატომ არ იტირა მაინც? მხოლოდ მაშინ აშფოთდა, როცა ქურდი ვუწოდე! განა ამ მიგდებულს, მოძულებულს მონათა შორის ისეთნიც მოიპოვებიან, რომელნიც თავიანთ ადამიანობას გრძნობენ და ცუდ უბრალოთ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა სწყინთ?

— ხვალ ვაჩუქებ რასმე!... გაიფიქრა ფლაბიამ, და, ის იყო, ძილს უნდა მისცემოდა, რომ ამ დროს შეესმა კარების ბრაიხუნი, გამხეცებული მონების ყვირილი და მათთან კვნესა-ჭრილი მონებისა. ის შეკრთა, მოაგონდა მამის ნათქვამი და კანკალი დაიწყო. შემდეგ შიშისგან შეძრწუნებული წამოვარდა საწოლიდან, გადიგდო წამოსასხამი და სწრაფად გადახტა სარკმელიდან ბაღში. ახლა თითქო გადარჩა მონებსა, მაგრამ სად წავიდეს? ნეაპოლში გაიქცეს? ხომ ძალიან შორს არის? სახლში დაბრუნდეს? იქ ხომ აუცილებლათ მოჰკლავენ? ის ბუჩქის ძირში მიიმალა. შიშისაგან კანკალებდა, რომ აგერ მიაგნებდენ და მოჰკლავდენ. ამასთანავე აცახცახებული ყურს უგდებდა ხმაურობას, რომელიც სახლიდან მოისმოდა.

მამა მისი, როგორც რომ შემოესმა მონების ყვირილი, მაშინვე წამოვარდა საწოლიდან, ხელი დაავლო იარაღს და შეევარდა ქალის ოთახში საშველათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფლაბია, სადა ხარ? დაბალის ხმით დაიძახა მან,—გაიღვიძე! გაიქეც! თავს უშველე! მონები აჯანყდენ!

რადგანაც ხმა არავინ გასცა, მივიდა ქალის საწოლთან და ხელი-მოუსვა. საწოლი ცალიერი დახვდა.

— ფლაბიავ, სადა ხარ? ახლა კი ხმა მაღლა შეეკითხა ლიცინი,—თუ იმალები სადმე, ხმა გამაგონე, მამაშენი ვარ!

ამ დროს თვალი მოჰკრა ღია სარკმელს, მიხვდა რომ ფლაბიას მოუსწვრია გაქცევა, და თვითონაც იმ გზას მიმართა, გადახტა ბაღში და მიყრუვებულ ბილიკებით გაიქცა ზღვისკენ.

— გვიშველეთ! დაგვიხსენით! ჰყვიროდა იგი, თითქო ამ შუა ღამეში მართლა მიეშველებოდა ვინმე და იხსნიდა გამძვინვარებული მონებისგან.

სასახლეში კი აჯანყებული მონები ანადგურებდენ ყველაფერს. ამტვრევდენ მშვენიერ ქანდაკებას, გლეჯდენ ძვირფასს საფენებს და ბოლოს-ოთხ-კუთხივ სასახლეს ცეცხლი მოუკიდეს.

— სიკვდილი ლიცინის! სიკვდილი მისს ქალს! ღრიალებდა ბრბო. დიდხანს ბობოქრობდენ მონები. ყოველის ფერი შემუსრეს, გაჩხრიკეს ყველა კუთხე სასახლეში, მაგრამ მაინც ვერ იპოვნეს ბატონები. ამიტომ ისინი გამოვიდენ, მოედვენ მთელს ბაღსა და დიდხანს ეძებდენ ანთებული ჭრაქებით ლიცინის და მისს ქალსა. მაგრამ ბოლოს მოიღალენ და წავიდწამოვიდენ. არე მარეს სიჩუმე მოედო. ლეო-კი გაშმაგებული იწევდა, ჯაჭვის აგლეჯას ლამობდა. მარტო იმის ყეფა ღა გაისმოდა ჰაერში.

პატარა ხლოია თავის ქოხიდან გამოიყურებოდა და თვალს ადევნებდა ჭრაქებს და სასახლიდან ამავალს გაძლიერებული ცეცხლის ალს. მის სიახლოვეს გაირბინა რამდენიმე მონამ, რომლებიც თავ გამოდებით დაეძებდენ თავიანთ მსხვერპლსა. ხლოიამ უცებ თვალი მოჰკრა ბუჩქს ამოფარებულ ქალბატონ ფლაბიას, რომელსაც შიშისაგან სახე შეშლოდა. ისე თრთოდა, როგორც ვერხვის ფოთოლი. მისს ახლოს დარბოდენ მონები ჭრაქებით, და ეჭვი არ იყო, მალე მიაგნებდენ და დაიჭერდენ. პატარა მონას სიბრალულით აევსო გული, უკვე დაავიწყდა შეურაცხყოფა, გული აუჩქროლდა, გამოვარდა ქოხიდან, მიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბინა თავის ქალბატონთან და ხელით ანიშნა, რომ გაჰყოლიყო მას.

— აქეთ! აქეთ! დაბალის ხმით უძახდა ხლოია,—აქ დაიმალე, ქალბატონო! ფლაბიამ შეხედა მას, იცნო ხლოია და მუხლებზედ დაეშვა მის წინ.

— არ გამცე! გევედრები! წაილუღლუღა მან,—მაპატივე, თუ შეიძლებ ჩემ პატიებას.

მონები უახლოვდებოდენ. ხლოია მივარდა თავის ქალბატონს, მოჰკიდა ხელი და ძალით გაიწია თავისკენ.

— ჩქარა, ქალბატონო! აჩქარებით უთხრა მან,—შენი მდევნელები გვიახლოვდებიან. ხომ ხედავ მონების ჭრაქებს. წამომყევი ჩქარა!

ამ სიტყვებით მან მიიყვანა ფლაბია ქოხთან და თითქმის ძალით შეაგდო შიგ.—გაჩუმდი ლეო, ნუ ერჩი ჩვენს ქალბატონს! მკქარით უთხრა მან ძაღლსა.

შემდეგ იგი მიუჯდა ლეოს, ორივ ხელი შემოხვია კისერზედ და დაუწყო ალერსი. გონიერი პირუტყვი მიხვდა ყველაფერს. ლეომ, რომელიც, პატარა ხლოიას გარდა, არავის არ გააჭაჭანებდა ახლო მახლოს, თავისი ქოხი ფლაბიას დაუთმო და თითონ შიგ კარებში ჩაწვა.

ამ დროს ქოხს მიუახლოვდენ მონები.

— შენ ეი მატლო! დაუძახეს ხლოიას მონებმა,—ხომ არ დაგინახავს, სად გადიკარგა ჩვენი ქალბატონი?

— არ დამინახავს! დამშვიდებულის ხმით მიუგო ხლოიამ.

— ხომ არა სტყუი?

— რად ვიტყუვებ? ხომ იცით, რომ მე ჩემი ქალბატონი არ მიყვარს? .. გუშინ შოლტით მცემა... ხედავთ სახეზედ ამ ჩასისხლებულს ზოლსა?

— მაშ მარტო ხარ? არ ვინ არ გყავს ქოხში?

— განა ლეო მოუშვებს ვისმე? აბა ერთი სცადეთ ვინმე შიგ შესვლა და მაშინ გამოსცდით ლეოს კბილებს. ვისაც თავი არ გენანებათ, მოდით და გაჩხრიკეთ ქოხი.

მონები ერთს წამს შეჩერდენ.

— მართალია, სთქვეს მათ,—ეს ძაღლი ნამდვილი მხეცია!

მონები მოშორდენ. როდესაც მათი ფეხის ხმა მიწყდა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმე ჩამოვარდა, ხლოიამ შეჰყო თავი ქოხში, ალერსიანათ გადუსვა ხელი თავზედ ფლაბიას და ალერსიანადვე უთხრა:

— დამშვიდდი, ჩემო ქალბატონო! ისინი უკვე წავიდენ. თუ შეგიძლიან, პატარა მაინც მიიძინე?

მეორე დილას ნეაპოლიდან მთელი ლეგიონი ჯარი მოვიდა. წინ მოუძღოდა ლიცინი კლარი და აჯანყებულებს სიკვდილით დასჯას უპირებდა. მაგრამ აჯანყებულები სულ გაქცეულიყვენ, და გადამწვარ სასახლის მუგუზლებთან მარტო რამოდენიმე ქრისტიანი მონებიღა იდგენ. ბატონი რომ მიუახლოვდათ, ყველამ დაიჩოქა.

—ბატონო! დაიწყო ერთმა მოხუცებულმა,—ჩვენ ქრისტიანებივართ. ჩვენი ქრისტე გვიკრძალავს კვლას, ძალადობას და ძარცვას. შენ ხედავ, რომ ცოტანი ღა გადავრჩით ცოცხლები. მომეტებული ნაწილი ქრისტიანეთა დახოცეს წარმართმა მონებმა. ჩვენ ვიცავდით შენს ოჯახს და ქონებას, და თუ ვერას გავხდით და გადავრჩით, ჩვენი ბრალი არ არის.

ლიცინიმ მრისხანეთ შეუბღვირა მათ.

— დაიჭირეთ ეგენი, უბრძანა ჯარის კაცებს,—შებოჭეთ ყველანი და გაგზავნეთ რომში მხეცების დასაგლეჯათ. ამის გაგონებაზედ ქრისტიანი მონები სრულებით არ შემდრკალან. მათ გულხელი დაიკრიბეს და იწყეს გალობა.

ლიცინიმ მოიარა მთელი მიდამო. ეძება ფლაბია, მაგრამ ვერსად იპოვა. —ნეტავი გვამი მაინც სად წაიღეს“ —ფიქრობდა ის.

ძაღლის ქოხის წინ დაინახა ხლოია. ღამით მოქანცული ქალი ლეოს გვერდით იწვა და სთვლემდა.

— არ იცი, სად არის ჩემი ქალი? მკვახეთ ჰკითხა მას ლიცინიმ.

ხლოია შეკრთა, ზეზედ წამოვარდა, თვალები მოიფშვნიტა და ღიმილით უპასუხა:

— შენი ქალი ცოცხალია.

— ცოცხალია? გაიკვირა ლიცინიმ. —რას ამბობ? სად არის მაშ?!

პატარა მონამ უჩვენა ძაღლის ქოხზედ და კრძალვით უთხრა:

— აქ არის... მე დავმალე!.. მაგრამ ნუ გააღვიძებ ამ უბედური ლამის შემდეგ მოსვენებით სძინავს! დაე, იძინოს!

ლიკინი არ ენდობოდა თავის ყურს. მან დაიხარა თავი, შეიხედა ქოხში და მართლაც, დაინახა თავისი მძინარე ქალი. გამოუთქმელის სიხარულით აევსო გული, უნდოდა მივარდნოდა ამ პატარა, მოთხუპნულს ყმაწვილს, აეყვანა ხელში, გადახვეოდა, გადაეკოცნა და გულში ჩაეკრა. მაგრამ ლეო საშინლათ ჰყეფდა და ცდილობდა თავი აეშვა როგორმე. ხლოია ამშვიდებდა მას, მაგრამ ის აღარ უგონებდა და მიიწევდა თავის პატრონზედ.

— რათა ხარ აგრეთი კეთილი? ჰკითხა ლიკინიმ.— ჩემი ქალი საჩუქარს დაგპირდა? მიგისყიდა? მითხარ, რამდენს დაგპირდა და ახლავე სამჯერ მეტს მოგცემ! რისთვის გადაარჩინე ის სიკვდილსა.

ხლოია მიუახლოვდა მას, გასწორდა წელში, გადიხსნა მკერდი და ლიკინის აჩვენა გულზედ ჩამოკიდებული ჯვარი.

— აი, რისთვის! მიუგო მან,—იმისთვის, რომ დედა ჩემი ქრისტიანი იყო და მეც გამაქრისტიანა!

— ქრისტიანი! გაკვირვებით წარმოსთქვა მან.—ისინიც თურმე ქრისტიანები არიან, რომლებმაც მითხრეს წელან, რომ ვიცავდით შენს ოჯახს და ქონებასაო, და რომლებიც მე შევაბოჭვინე. რა ხალხი ყოფილა ის ხალხი, რომლებიც სხვის გულისთვის თავიანთ თავსა სწირავენ.

ლიკინი დაბრუნდა სასახლის დამწვარ ნანგრევებთან და ნახა, რომ ჯარის კაცები ხელებს უბოჭავდენ ქრისტიანებს.

— გაანთავისუფლეთ ყველანი! ღაბრძანა მან,—განა ვერ ხედავთ, რომ ეგენი ქრისტიანები არიან?

ჯარის კაცებმა გაკვირვებით შეხედეს მას და მოშორდენ მონებს.

ლიკინიმ იმ საღამოსვე მიაყვაინა თავისთან ხლოია და ყველას თანადასწრებით გამოუცხადა:

— ამიერიდან განიჭებ თავისუფლებას... ამ დღიდან შენ სრული უფლების მექონე, რომის მოქალაქე, ხარ. შენ და ჩემი ქალი ერთად იცხოვრებთ, და იმედი მაქვს, რომ დობას გაუწევ მას!

ამბობენ რომ ლიკინიმ იმ საღამოსვე გაანთავისუფლა ყველა დანარჩენი მონებიც, და ფლაბიამ, ხლოიას ზედგავლენით, მოკლე ხანში ქრისტიანობა მიიღო.

**ბაბოსი.**

(თარგმანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპილო



ცხელ ქვეყნების ცხოველებს შორის სიდიდით ყველაზე უფრო შესანიშნავია სპილო, რომელიც ცხოვრებს აზიისა და აფრიკის ცხელ ქვეყნებში მოწიფული სპილო სიმაღლით ოთხ ადლზე ცოტა მეტია, სიგრძით კი თითქმის ორი საჟენი იქნება. ტანი აქვს მსხვილი და შემოსილი სქელი ნაცრის ფერი კანითა, რომელზედაც ასხია თხელი ბალანი. ფეხები იმდენათ მსხვილ-მსხვილი აქვს, რომ გეგონება ფეხების მაგივრათ მის ვეებერთელა ტანს ჯირკები აქვს შეყენებულიო. ტანთან შედარებით კუდი პატარა აქვს და წვრილი, რომელიც ხანდახან გოჭსავით გაუბზეკია: ფეხებზე ხუთ-ხუთი თითი ასხია და ფითებს პატარ-პატარა ჩლიქები. მსხვილი თავი დიდი ყურებითურთ უერთდება ტანს მოკლე კისრითა, და ეს არის მიზეზი, რომ სპილოს არ შეუძლია არც მაღლა აწევა თავისა, არც ძირს დახრა, არც მიბრუნ-მობრუნება მისი. ამისთანა თავ-კისრის პატრონს ძალიან კი გაუჭირდებოდა საჭმლის შოვნა, რომ სხვა რამე საშველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიეცა მისთვის ბუნებას: იგი მარტო იმ ბალახს მოსწიწკნიდა, იმ ფოთლებსა და ტოტებს მოუხერხებდა შეჭმას, რომელთაც მიუწვევდა პირს, სხვას კი, რაც უფრო მაღლა იქნებოდა მის თავ-კისერზე ან უფრო დაბლა, ვერაფერს დააკლებდა და შიმშილით მოკვდებოდა; მაგრამ ბუნებამ განსაკუთრებული იარაღი მიანიჭა სპილოს და გაუადვილა საზრდოს მოპოება. ცხვირი და ზევითი ტუჩი საკვირვლათა აქვს მოწყობილი: საოცრად წაზრდია წინ ცხვირ-ტუჩი და გაგრძელებია; თავისაკენ მსხვილია, ბოლოსაკენ კი თანდათან ჰწვრილდება და თავდება თითის მსგავსი დანამატითა. ეს არის ის ნაწილი სპილოს თავ-პირისა, რომელსაც ეძახიან ხორთუმს. ხორთუმს ისეთი აგებულობა აქვს, თითქო ვეებერთელა ‘ჭიაყელა იყოს: ხან გაგრძელდება საოცრად, ხან დამოკლდება, როგორც სპილოსა სურს; უნდა მაღლა ააშვერს სპილო მას, უნდა აქეთ-იქით გაიშვერს; უნდა დააგრძელებს და მიწას შეეხება, უნდა მოგრაგნის და დანამატს პირთან მიიტანს. ერთის სიტყვით, სპილო ისე ჰხმარობს ხორთუმს, როგორც ჩვენ ხელსა ვხმარობთ. რაც უნდა პატარა ნივთი იყოს, მაგალითად, წვრილი ფული ან სხვა პატარა ნივთი, ნემსიც რომ იყოს, ისე აიღებს ხორთუმის დანამატითა, როგორც ადამიანი. ყვავილს სულ ადვილად მოსწყვეტს; შეუძლია ნასკვებიც გახსნას. ხორთუმის წყალობით ბალახსაც მოსწიწკნის სპილო და ხის ტოტებსაც მისწვდება, რომ მოსწყვიტოს გემრიელი ნაყოფი ან ფოთლები, რო მოსწყვეტს რასმე, მერე ხორთუმითვე ჩაიდებს პირში და შესჭამს. თუ მოშივდა, მაშინ მაჯის სიმსხო ტოტებსაც მოამსხვრევს ხოლმე ხორთუმითა და ჩაჰკვრეს გემრიელათ.

ხორთუმს ჰხმარობს სპილო არა მარტო იმისათვის, რომ საჭმელი ჩაიდოს პირში, არამედ ყნოსვის იარაღიც ის არის მისთვის და შეხების იარაღიც, ესე იგი ხორთუმით ტყობილობს სუნს სხვა და სხვა ნივთიერებისას და არჩევს ერთი მეორისაგან, რომელი მაგარია და რომელი რბილი ან თხელი, რომელი თბილია და რომელი ცივი და სხვა.

შესანიშნავი სანახავია, როდესაც წყალსა სვამს სპილო. მივა წყალთან, დაგრძელებს ხორთუმს, ჩადებს ცხვირს წყალში, ნესტოებით შეიკრეფს ხორთუმში და იქ ბლომათ დაიგუ-

ბებს; შემდგომ მოგრაგნის ხორთუმს, მიიტანს პირთან და თქიში-თქიშინით ჩაუშვებს პირში. ახლა იმას არ იკითხავთ, როდესაც ცხელა, ტანს როგორ გაიგრილებს ხოლმე? ჩაუშვებს წყალში ხორთუმის ბოლოს, შეისუნთქავს და შეიკრეფს წყალს; მერმე ააშვერს მაღლა ხორთუმს, მიმოატარებს მას თავის ტანზე და ისხამს ზედ ცივ წყალსა.

დიდი ღონე აქვს სპილოს ხორთუმში და ძალიან მძიმე ტვირთიც შეუძლია ასწიოს მით. ასე გასინჯეთ, ხესაც კი ძირიანათ ამოიღებს მიწიდან. ყოფილა მაგალითი, რომ გაჯავრებულს სპილოს უტაცნია ხორთუმი დიდი ვაჟკაცისათვის, ცემ-ცემ აუყვანია მაღლა და მერმე იქიდან დაუნარცხებია მიწაზე.

სპილოს ოთხი კბილი აქვს: ორი ზევით ყბაზე და ორიც ქვევითაზე—ცალი მარჯვნივ და ცალი მარცხნივ. კბილები ძალიან უცვდება საჭმლის ღეჭვით, მაგრამ დაცვეთილების მაგივრად ახლები ამოსდის ხოლმე, ასე რომ თავის სიცოცხლეში სპილო ექვსჯერ იცვლის კბილებს. გარდა ამისა მამალ სპილოს და აზიაში დედალსაც ზევითა ყბაზე ასხია ორი ვეებერთელა კბილი, ერთი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ; ესენი გამოშვერილან დიდზე (ზოგჯერ ოთხი ადლის სიგრძეზე) და ისეთი სიმაგრე აქვთ, რომ ერთის მოქნევით სპილო მსხვილ ხეს გადაამტვრევს და ძალუმს მხეცს სულს გააფრთხობინებს. ამ კბილებს ეძახიან ეშვებს. როდესაც იმისთანა ძალუმი ნადირები, როგორც ლომი და ვეფხია, თავს დაესხმიან ხოლმე სპილოს, იგი მოარიდებს მათ თავის ნაზ ხორთუმს, მაღლა ააშვერს და მოცადინეა მტერი ეშვებზე მოიგდოს ან ფეხქვეშ, რომ გასრისოს თავის ღონიერი ფეხებითა. მაშასადამე ეშვები ჰქონია სპილოს მტრის მოსაგერებელ იარაღათ.

ყურები დიდი და ჩამოპანტურებული აქვს სპილოს და სმენა ძალიან კარგი, მისი წვრილი თვალები გამომეტყველნი არიან გულკეთილობისა, მხედველობა მაინცა და მაინც კარგი ვერა აქვსთ.

სპილოებს ჯოგად სჩვევიათ ცხოვრება. ზოგჯერ მათი ჯოგი ასი სულისაგან შესდგება და იმისთანა განწყობილობა აქვთ ერთი მეორესთან, თითქო ერთი სახლობა არისო. უყვართ ერთმანეთი, ერთი მეორეს შველის და ხიფათისაგან იფარავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა სპილო სხვა სპილოს შვილებსაც აწოვებს ძუძუს და ისე ეალერსება ხოლმე სხვის შვილებს, როგორც თავის საკუთარსა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილოები დიდის ტანისანი არიან და მოყვანილობა იმისთანა აქვსთ, რომ იფიქრებს კაცი მოძრაობა არ უყვართო, მაგრამ ეს ასე როდია. იგინი დიდ-ხანს თავის დღეში არ დარჩებიან ხოლმე ერთსა და იმავე ადგილს და, როდესაც საზრდოს ძებნაში არიან, ერთს საათში ოცდახუთს ვერსტსაც კი გაირბენენ. სიარული იციან სპილოებმა გამწკვრივებით. წინ ბელადი მიუძღვისთ. ბელადათ ყოველთვის დედალი სპილოა. როდესაც სპილოთა ჯოგი მიდის ხოლმე იმისთანა ტყეში, სადაც ჯერ არ უვლიათ, საოცარი ხძაურობა გაისმის იქ. ერთი ტკაცა-ტკუცი ხის ტოტებისა, მტვრევა და ხრიალი ძირეულ ხეებისა, დიდი ხეები, რომელთაც მრავალჯერ დატაკებია გრიგალი ქარი და ვერა დაუკლია რა, ახლა სპილოებს ველარ უმაგრდებიან და კანაფივით იმსხვრევიან. გაივლის რა ამგვარათ სპილოების ჯოგი ტყეში, გასტკეპნის იქ გზას, ბილიკს გააკეთებს, რომლითაც 'შემდგომ თითონ ისინიც ხშირად სარგებლობენ და სხვა ნადირებიცა.

იმ ქვეყნებში ხომ, სადაც სპილოები ცხოვრობენ, საოცრად ცხელა. ამიტომ სპილოთა ჯოგმა დღისით სადმე სქელ ტყეს უნდა შეაფაროს თავი, რომ აიცილოს მზის მხურვალე სხივები და სხვა და სხვა მკბენარა მწერები, რომელნიც გაშლილ ადგილს მოსვენებას არ აძლევენ პირუტყვებს; არიან იქ, ტყეში, სწიწკნიან მწვანე ბალახს ან და ხის ქორფა ტოტებს სიამოვნებით ახრამუნებენ. სასაცილო სანახავია ამ დროს ზოგიერთი სპილო, რომელსაც ხის ტოტი მოუტეხია, დაუჭერია ხორთუმითა და მწერებს იგერებს. ახალგაზრდა სპილოები კი ამ დროს იქით-აქეთ დარბიან, თამაშობენ, ცელქობენ. მზე გადიხარა. სპილოებს კაი ხანია წყურვილი აწუხებს. მეტი ველარ მოუთმენიათ: დამწკრივდენ, დაადგენ მათგანვე გატკეპნილს ბილიკს და გასწიეს რომელსამე მდინარისაკენ ან ტბისაკენ. წინ ბელადი მიუძღვისთ. პირველად ბელადი გამოვა წყლის პირათ, გაშლილ ადგილას და მიმოიხედავს, დაუკვირდება არე-მარეს, აქეთ მიაყურებს, იქით მიაყურებს. როდესაც დარწმუნდება, სახიფათო არაფერიაო, ანიშნებს თავის ამხანაგებს და იგინიც მაშინვე სიხარულით გამოცვივდებიან ტყიდან და ჩავარდებიან წყალში. რა ამბავში არიან ამ დროს, რომ განახვათ! ზოგი წყალსა ჰსვამს, ზოგს ხორთუმში დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბებია წყალი და ისხამს ტანზე, რომ გაგრილდეს; ზოგი ცურავს, ზოგი სულ ჩაყურყუმალებულია წყალში და მხოლოდ ხორთუმის ბოლო ამოუყვია, რომ ჰაერი სუნთქოს. ცურვა კარგი იცის სპილომ და დიდს ხანს რჩება ხოლმე წყალში.

სპილო გულკეთილი ცხოველია და სხვა ცხოველებს თითონ არას ერჩის. გზაზე პატარა ნადირიც რომ შემოხვდეს, იგი მაშინვე გზას უტევს: არაფერი მოვსწიოო. გულადი ცხოველია და არაფრის ეშინია. ერთად ერთი მტერი, რომლისაც ძალიან ეშინია სპილოს, ადამიანია. ადამიანის მხრით დევნა და სასტიკი მოპყრობა კი გამოიყვანს ხოლმე მას მოთმინებიდან და მაშინ იგი საშიშარია. თუ მოასწრო, მოავლებს ხორთუმს და ისეთნაირად დაანარცხებს მიწაზე, რომ მაშინვე სულს გააფრთხობინებს.

აფრიკის მცხოვრებნი ხშირად ნადირობენ ხოლმე სპილოებზე და უწყალოთ ხოცვენ მათ, რომ ეშვები მოაგროვონ რომელიც ძვირადა ღირს. სპილოს ძვალიო, რო გაგიგონიათ, ის ეშვია სპილოსი. მისგან აკეთებენ მრავალს სხვადასხვა ძვირფასს ნივთს. ნადირობენ მშვილდ-ისრებით, შუბებით, ზოგნი თოფებითაც. ცოცხლებს ორმოებით იჭერენ. ამოსთხრიან ხოლმე ორმოებს იმისთანა ადგილებზე, სადაც სპილოებს სჩვევიათ სიარული, და ზევიდან ხის ტოტებს დააფარებენ. სპილო რო გაივლის იქ, ჩავარდება ორმოში და ფეხს ვეღარ მოიცვლის. ნადირობის დროს შესანიშნავ თვისებას იჩენენ სპილოები, რომელიც ღირსია ყურადღებისა: ერთხელ მონადირეებმა რომ დასჭრეს სპილო, იგი დაბარბაცდა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, მაგრამ ამ დროს გამოვარდა ტყიდან დედალი სპილო, მივიდა მასთან, გვერდით მოუდგა მას და ასე გვერდზე ატორღიალებულმა მიაცილა იგი ტყემდის და შეიყვანა იქ, თუმცა თითონაც დაჭრილი იყო და სისხლისაგან იცლებოდა. ერთხელ სპილო რო დასჭრეს, იგი მაშინვე გაიქცა ტყისაკენ, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ შვილი უკან ჩამორჩა, მსწრაფლ დაბრუნდა უკან და შვილს ჩამოეფარა, რომ მტრებისაგან არაფერი მოსწეოდა. ამ დროს მტრების მიერ გამონატყორცნი ისრები სეტყვასავით მოდიოდა მისკენ, მაგრამ დედა ვერაფერმა ვერ შეაშინა და არ ჩამოც-

ლია შვილს, სანამ არ შეიყვანა ტყეში. მონადირეებმა ერთ-ხელ ახლად დაჭერილი დედალი სპილო ხეზე მიაბეს ჯაჭვით. მისი შვილი გაბოროტებული რამდენჯერმე მივარდა ხესთან, უნდოდა გაეწყვიტა ჯაჭვი და გაენთავისუფლებია დედა, მაგრამ რას გააწყობდა! რომ ველარას გახდა, შემდგომ სხვა დედა-სპილოსთან მივიდა და შეაბრალა თავი. ისიც ნიშნათ ნუგეშისა ხორთუმს უსვამდა ტანზე და ეალერსებოდა, მაგრამ ამ ნუგეშმაც ვერ დაამშვიდა იგი: საწყალი რამდენიმე ჯერ კიდევ მივარდა იმ ხესთან ღრიალით, რომ საშველი რამე მიეცა დედისათვის.

აფრიკაში წელიწადი ისე არ გაივლის, რომ დაახლოვებით 65 ათასი სპილო არ ინადირონ. ინდოეთში კი აღკრძალულია სპილოების დახოცა; პირიქით ცდილობენ მოაშინაურონ და გაამრავლონ. იქ ამუშავებენ სპილოებს; ტვირთს აზიდვინებენ ხოლმე, გუთანს შეუბმენ და მიწას ახვნევინებენ და ცხენურმის მაგივრათაც ხმარობენ. წარჩინებულნი პირნი და მდიდრები მოგზაურობენ იქ სპილოებით. გაჰმართვენ ხოლმე მათ ზურგზე კარვებს, მოაწყობენ ამ კარვებს მდიდრულათ, დასხდებიან შიგ და მიდიან სადაც უნდათ. ამ დროს სპილოს თავზე დასკუპებულია გამძღოლი კაცი, რომელიც მიერეკება სპილოს; მისთვის რომ ჩქარა გაატაროს, ფეხებსა სკემს ყურის ძირებში და თუ ფეხებით ვერას გახდა, ხელში ჩაქუჩი უჭირავს და მაგრათ ჩაუკაკუნებს ხოლმე თავში.



რამდენათ ჭკვიანი და სასარგებლოა მოშინაურებული სპილო, იქიდანა სჩანს, რომ ყოფილა შემთხვევა დიასახლისს თავის სახლ-კარი სპილოს ამარა დაუგდია, თავის პატარა ბავშიც მის სათვალ-ყუროდ დაუტოვებია და თითონ დროებით სხვაგან წასულა საჭირო საქმისათვის.

ერთი მოგზაური საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს: ერთ-ხელ გზად მივდიოდი და ტყეში უნდა გამევლო. ცხენით ვიყავი. შეველ თუ არა ტყეში, ცხენი შეშინდა: ხმაურობა ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა, თითქო რაღაც ფრუტუნებსო: „ჰფუ-ჰფუ-ჰფუ“. ცოტაზე კიდევ გავატარე ცხენი და მერე დადგა, ფეხი აღარ მოიცვალა. ბოლოს რა აღმოჩნდა? თურმე შინაურს სპილოს წავაწყდი ტყეში, რომელსაც გაედო თავის ეშვებზე დიდი უშველებელი ძელი და ერთის ქშენითა და ვაი-ვაგლახით მიჰქონდა თავის პატრონის სახლისაკენ მარტო იყო, ადამიანი არ ახლდა. ხან მარჯვნივ მიიბრუნებდა თავს და ხან მარცხნივ, რომ მოეხერხებია ვიწრო გზაზე გავლა თავის ვიწრო და გრძელი ტვირთითურთ. სპილომ რომ დამინახა, ძელი მაშინვე დააგდო ძირს და გადამიდგა გზიდან, რომ გამევლო. ცხენი ფეხს არ იცვლიდა. კანკალმა აიტანა. ეს რომ დაინახა სპილომ, კიდევ უფრო მოგვშორდა, შევიდა ტყეში უფრო შორს და იქ ფრუტუნებდა, თითქო მეუბნებოდა: „ჰა, ბარემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაიარე, ხომ დაგითმე გზაო“. ცხენი ფეხს არ იცვლიდა მაინც. ბაშინ სპილო კიდევ უფრო შორს შევიდა ტყეში და იქ ელოდა იმ წამს, როდესაც მე გავივლიდი გზაზე და სულ მოვშორდებოდი. ბოლოს ცხენმა გული დაიმშვიდა და წავიდა წინ. როდესაც კარგად დავშორდი იმ ადგილს, სადაც ძელი ეგდო, სპილო გამოვიდა ტყიდან, ისევ გაიდვა ძელი თავის ეშვებზე და გასწია ქშენით თავის პატრონის სახლისაკენ.

სპილო ჰბადებს ერთს შვილს, იშვიათ შემთხვევაში კი შეიძლება ორიც დაბადოს ერთად. პატარა სპილო ექვს თვეს დედის ძუძუთი საზრდოობს და მუდამ დედის მუცელ-ქვეშ იმყოფება, იქ იფარავს თავს. შემდგომ თანდათან სხვა საჭმელსაც ეჩვევა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში დედას მაინც არ შორდება, სულ იმასთან არის. მერმე კი, ორი წლის რომ შეიქნება, აღარავის ეშინია, დედის თავისუფლათ. 25—30 წლის სპილო ზრდას ათავებს და მოწიფული შეიქნება. დიდი ტანის სპილო იწონის ორას ორმოცდა ათ ფუთამდის.

გარეული სპილო დიდ ხანსა სცოცხლობს: ზოგი მათგანი ას ორმოცდა ათ წელიწადსა სძლებს. როდესაც იგრძნობს —მოახლოვდა სიკვდილის ჟამი, მიდის სადმე მოფარებულს ადგილას და იქ ამოხდება სული. შინაური სპილოს სიცოცხლე ბევრად უფრო ხანმოკლეა—ოცს წელიწადს არ აღემატება, თუმცა ყოფილა მაგალითი, რომ შინაურს სპილოს ას ორმოც წლამდისაც გაეძლოს.

**ალექსი ჭიჭინაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკვარი, ჭოროხი და რიონი.

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.

(მგზავრის დღიურიდან)

ხალხი ათი ათასობით შეეხიზნა საქრისტიანო სახელმწიფოებს: პოლონეთს, რუსეთს, საქართველოს და სხვ. მარტოოდენ გალიციაში ოცი ათასი სული ანელი სომხობა შეეხიზნა და დღესაც იქ ბედნიერათ ცხოვრობს. თუმცა კი ბოლო ხანებში ურიათა მეტოქობის გამო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა წაუხდათ...

— მაშ ეგ არის რაღა! მაშ სომხეთიც გათავდა და მორჩა რაღა!?.. მაშ კილიკია აღარაფერია!?—გულ ნატკენათ დამეკითხა აღელვებული ხაჩატურ-აღა...

— ეგ ხანა ჩემის ბაასის საგანს არ შეადგენს და თუ გსურთ მაგასაც გიამბობთ:—როდესაც სელჯუკებმა აზიაში ბიზანტიასაც ყოველივე ძალა მოუღეს, სომხეთის მთავრებმა კილიკიაში შეკრიბეს ძალა. ვინმე თავადმა რუბენმა დაარსა 1080 წ. ახალი დინასტია რუბენიდებისა...

— კილიკია მაღალი მთა ადგილიანი ქვეყანაა—ჩაერია ლაპარაკში ბუნების მეტყველი—მცირე აზიაში მდებარეობს ხმელთა-შუა ზღვის ნაპირად. ტავრის მთის მაღალი ქედია გაწოლილი ლიკონია, კაბადოკიის და კილიკიას შუა. კილიკიას დღეს ოსმალო ჰფლობს 1574 წლიდან...

— გმადლობთ შენიშვნისთვის.—ეგ ყველა მართალია. მოკლედ რო ვთქვათ კილიკია კუნძულ კიპრონს ზედ თავზე დასცქერის, ჰო და იმას მოგახსენებდით: ჯვაროსანთა ომებში კილიკიელნი მთავრები ძრიელ ეხმარებოდენ ევროპიელებს იერუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიმის დახსნაში. ამიტომაც კილიკიის პირველ მეფეთ ლეონ II გამოაცხადა გენრიხ მეექვსემ. ლეონი 1198 წ. აკურთხეს მეფედ ქალ. ტარსაში. მაგრამ ამ პატარა სახელმწიფოსაც ახლა რომის პაპები ჩააცივდენ—გინდათ თუ არა ჩვენი ეკლესიის კანონები მიიღეთო, ძალას ატანდენ. კათოლიკე მისიონერებმა სომხის წინა კაცებშიაც გაიჩინეს ბევრი მომხრენი. ამ გვარად შინაურმა და გარეულმა უთანხმოებამ იქამდე დაასუსტა სამეფო, რომ 1374 წელს ეგვიპტეს სულთანი შაბანი შეესია კილიკიას-დაიპყრო ქვეყანა და მისი მეფე ლეონ VI ტყვეთ წაიყვანა ქაირში, ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ლეონი პარიზში სცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა 1393 წ. და სომეხთა სამეფოც კვლავ მოისპო და დაიქსაქსა.

„კაცობრიობის ისტორია, ბატონებო, დაულეველი ზღვა არი. როგორც ზღვა სამარადისოდ ღელავს და წყნარდება ისე კაცობრიობაც ვერ დადგება ერთს დონეზე, ვიდრემდე ქვეყნიერება არსებობს. ყველას ისტორიას რო მოვყვეთ, მაშინ ჩვენს ბაას დასასრული არ ექნება. მაშ დავასახელოთ ის ისტორიულნი პირნი ქურთნი, რომელთა შთამომავლობაც საქართველოს პოლიტიკურს ისტორიაში გამოჩენილს როლს თამაშობდა.

„მაგრამ ნათქვამია: „გზა შორს მოუარე შინ მშვიდობით მიდიო“ ჩვენც ვიდრე სამშვიდობოზე, შარა გზაზე გავიდოდეთ, პატარა ბილიკი კიდევ გვაქს გასავლელი, თორემ უარესად აგვერევა დავთრები. ჩვენთვის ულეველად საჭიროა წარმოვიდგინოთ მეზობელ ქვეყნების, აზიის პოლიტიკური სურათი მე XI საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, ვინ იყო ის ქრისტეს მტერი ალპ-არსლანი, რომელიც მეხივით დაეცა სომხეთს და საქართველოც მიწასთან გაასწორა? ამაზედ აი რა პასუხს გვაძლევს ისტორია: სადღაც, აღმოსავლეთ აზიაში, ვაჟკაცობით გაითქვა თავი ერთმა უბირმა გმირმა, ვილაც თურქმა (გუზების შტოიდან), რომელსაც სახელად სელჯუკი ერქვა. ამ კაცის მეთაურობით სწრაფად შესდგა ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც მიიზიდა აუარებელი უგვარო, ურჯულო, უსაქმო და მშიერი ხალხი. ბოლოს 955 წელს უშველებელი ურდო დასახლდა მდინარე სირდარიის ნაპირზე. ამ ურდოს ეწოდებოდა ჯენდა, რომელიც მეზობელ ქვეყნების რბევით და დაპყრო-

ბით იკვებებოდა, ძრიელდებოდა. სელჯუკის შვილის-შვილებმა თოგრულ-ბეგმა (1035—1058—63) და ჩაქირ-ბეგმა გამარჯვებული ომებით იქამდე გაძრიელდენ, რომ ზედი-ზედ დაიპყრეს ქვეყნები და ბოლოს თვით—მპყრობელ სულთანებადაც შეიქმენ. ჯერ დაამხეს სპარსეთი: ხოროსანი, გერათი, სეჯესტანი დაიპყრო ჩაქირ-ბეგმა და მისმა შვილმა ალპ-არსლანმა. ხოლო ჩაქირ-ბეგის ძმამ თოგრულ-ბეგმა დაიპყრო 1042 წ. ჯორჯანი და ტაბარისტანი. ამათვე დაემორჩილა 1046 წ. ხვარეზმი და 1054 წ. აზერბეიჯანი. შემდეგ თოგრულ ბეგმავე დაიპყრო ბაღდადი და 1058 წ. თვით უძლურმა ბაღდადის ხალიფამ თურგული სულთანად გამოაცხადა, თავისი ტახტიც მას დაულოცა. ხოლო თოგრულის სიკვდილის შემდეგ მისი ძმისწული ალპ-არსლანი გახდა სულთანი (1063—72) სრულიად ირანისა. დიდის სულთანის ალპ-არსლანის სიკვდილის შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი დიდად ღირსეული შვილი მელიქ-შაჰ (1072 1092). ამან ზედი-ზედ დაიპყრო: სირია, სომხეთი, საქართველო და მთლად მცირე აზიაზე ბიზანტიას ხელი დააბანინა, შემდეგ აიღო ბუხარა (1089) და კაშგარი. ამ გვარად მელიქ-შაჰს მორჩილობდა თითქმის მთელი აზია ჩინეთის სამზღვრიდან ვიდრე ბოსფორამდე, კოსტანტინეპოლის კედლამდე. ხოლო ისპაჰანი იყო მისი სატახტო ქალაქი.

ალპ-არსლანი ბაგრატ IV დროს შემოიჭრა უეცრად საქართველოში 1064 წელს, მისმა მოზღვავებულმა ბრბომ ააოხრა ჯერ აი ეს ზემო ქართლი: კლარჯეთი, ტაო შავშეთი, კოლა—არტაანი და სხვ. თვით სულთანი ალპ-არსლანი დადგა თრიალეთს. სელჯუკებმა იმისთანა მუსრი აადინეს ჯავახეთს, რომ ქალაქ ახალქალაქში „მოსწყვიდნეს მუნ-მყოფნი ესრედ რამეთუ შეიღება მდინარე იგი სისხლით. აქედან წასულმა შემუსრა ანი და მისცა მანუჩარს“...

ხუთიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ 1069 წ. დეკემბრის 10-ს, ალპ-არსლანი მეორედ შემოიჭრა საქართველოში, ახლა კახეთის მხრიდან. მოაოხრა მთლად ქართლი, გადაიარა სურამის ქედი, აიკლო არგვეთი: „მოსრნეს ურიცხვნი ქრისტიანენი და იქმნა დღე ბნელი და წვიმა სისხლისა“.. ხოლო ვინც გადარჩა, კლდეებში გახიზნული ხალხი, ისეთი სასტიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი იყო, რომ ყინვისაგან დაიხოცა, გაზაფხულზე ამას სხვა უბედურობაც დაერთო. დიდ-თოვლიანობის გამო იმდენად ადიდდენ მდინარენი, რომ რაც სულთანს სოფლები გადურჩა-წყალმა წაიღო. თუმცა ბაგრატ მეფემ ბოლოს მესხთა შემწეობით ძრიელაც გაიმარჯვა ფადლონზე *), მაგრამ ეს აღფრთოვანება მაინც ვერ იხსნიდა გულ დაკოდილს, გატყავებულს საქართველოს, ვიდრე ბედის ჩარხი წაღმა არ დატრიალდა: ალპ-არსლანი 1072 წ. სამარყანდში შევიდა 700,000 (შვიდასი ათასი) სპითა და აი ამ დროს, ჩვენს ბედზე, ვიღაცა თურქმა ვერაგულად მოჰკლა დიდი სულთანი ალპ-არსლანი. საქართველომ ცოტა არ იყოს შვებით ამოისუნთქა. ამავე წელს გარდაიცვალა ბაგრატ მეფეც, პოლიტიკურ ასპარეზზე, გამოვიდენ ახალნი პირნი: ირანში გამეფდა ალპ-არსლანის შვილი მელიქ-შაჰ და საქართველოში მემკვიდრე დანგრეულ ტახტისა გიორგი II (1072—1089). პირველში გიორგი მეფემ ძრიელაც გაიმარჯვა: აიღო ანი, აზრუმი და მთლად ჰორეხის ხეობაც დაიბრუნა, მაგრამ ამ დროს შემოიჭრა სულთანი მელიქ-შაჰ ურიცხვი სპითა და დღე დაუბნელა საქართველოს. კლარჯეთით შემოვიდა აუარებელი თურქობა. გიორგი მეფე აჭარის გზით აფხაზეთს გაიქცა. მეფის საუნჯე რაც კი რამ ებადა მთლად ჩაუვარდათ თურქებს ხელში და მას მერე გული იჯერეს ეკლესია-მონასტერთა სიმდიდრით. ქართველ ერისთვის ხსნა და იმედი აღარსაიდან-ღა იყო. ერთად ერთი ქომაგი და ნუგეში საქრისტიანო ქვეყანა ბიზანტია (ბერძნები) სელჯუკებმა იმდენად შეასუსტეს, რომ სრულებით მიანებეს თავი მცირე აზიას *). მათ ფეხდა-ფეხ მისდევდენ სელჯუკნი და ბიზანტიის ნაქონები ქვეყნები სრულიად დაიპყრო ძლევა-მოსილმა სულთანმა მელიქ-შაჰმა. და არამთუ ქვეყნები, ალპ-არსლანის მეფობის დროს 1071 წელს

---

*) ფადლონი ქურთი კანჯის ემირი იყო და ქრიელ ხშირად ჭქონდათ ქართველებს ფადლონთან ბრძოლა. ოთხნე ლიბარიტის ძემ ფადლონს მიჭეიდა კაკის ციხე.

*) „სახლი რო კეწოდეს, შენც ხელი მოითბეო“. გიორგი მეფემ კამეფებისათანავე ბიზანტიას კამოჭკლიჯა ანაკოფსია და შემოუერთა თავის სამეფოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ბიზანტიის იმპერატორი რომანი მე IV და დიოგენი ტყვედ ჩაუვარდათ სელჯუკებს.

წინეთ შემოსეულნი როცა გაბრუნდენ, ამათ აზრუმთან შეეფეთათ სელჯუკთა სხვა ბრბო ჯარი, რომელნიც თურმე კონსტანტინეპოლისკენ მიეშურებოდენ სადავლოთ, სარბეველათ. პირველებმა უჩვენეს საუნჯენი და ყოველივე ნადავლი მეფე გიორგისა და უთხრეს: „აჰა ქვეყანა უკაცური, საბერძნეთს რას მირბით, იქ ბრძოლით უნდა იშოვოთ და აქ კი ყოველივე ოხრად და უპტრონოდ არის“...

„მოეწონათ წინადადება და მთლად საქართველო აივსო სელჯუკებით (1080 წ.). არტაანი, კლარჯეთის უდაბნონი (ჭოროხის ხეობაში), ქუთაისი, ჭყონდიდი და ქართლი ჯერ გაცარცვეს და მერე დასწვეს. დარჩენ ზამთარიცა. მოსწყვიტეს ქვეყანა, მოჭამეს და წავიდენ“...

„ამ დიდ-ქურთობას თუ ვინმე—ღა გადარჩა კლდეთა, ქვაბთა, მთათა და სიმაგრეთა იგინიც ამოსწყდენ ზამთრისაგან“. ესეც არ აკმარეს, შემოეჩვივენ და ყოველ ზაფხულს მოდიოდენ: „იქნება კიდევ რამ დაგვრჩაო“. ვინ იყო მათი ხმის გამცემი. გატყავდა ქვეყანა. აღარავინ არაფერს აღარ მუშაობდა. წმიდა ეკლესიანიც-კი პირუტყვთა სადგომათ, ფარეხებათ დახადეს სელჯუკებმა. არ იყო და არა საიდანმე შველა —„ბერძენთაც მოღებოდათ ძალა.“

„გაჯერებული მეფე გიორგი, ბოლოს ეახლა სულთანს მელიქ-შაჰს და ითხოვა პატიება, შეავედრა, შეაბრალა ქვეყანა. სულთანმა პატივით მიიღო მეფე, შემწეობა აღუთქვა, ჯარიც კი მისცა წეს-რიგის აღსადგენად, ბრბოთა გასარეკად და ქვეყნის დასამშვიდებლათ. ხოლო ხარკი მოსთხოვა და ყოველ წლივ უნდა ეძღია.

— რას მივაწეროთ მაგისთანა ზრუნვა, რითი აიხსნება მტარვალის ლმობიერება? შემეკითხა კახელი თავადი.

— ჩვენი მემატიანე ამ ფაქტის შესახებ სამართლიანად შენიშნავს. მართლაც და მაშინ სად იყო წესი და რიგი, ომის და ზავის პირობები. მელიქ-შაჰმა არც კი იცოდა მისი სახელით რა ბარბაროსობა ჩაიდინეს საქართველოში სელჯუკთა და სპარსთა ბრბომ. ეხლა ხაზინა ინახავს და ჰკვებავს ჯარს და ცხენებს, მაშინ-კი ომის დროსაც და მშვიდობიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსაც ჯარი-ბრბო ყაჩაღობით, ნადავლით ირჩენდა თავს და თუ დიდს საუნჯეს იშოვიდა დიდათაც მდიდრდებოდა, სარდლებსაც წილს უდებდა.

—,,თითქოს არ აკმარა ბედმა ამოდენი ტანჯვა ჩვენ წამებულ ქვეყანას და 1088 წ. ზედ აღდგომის დღეს მოხდა საშინელი მიწის ნძრევა—დაირღვენ კლდენი, ციხენი, ნაშენებნი და მრავალი ხალხიც ამოწყდა. მთელს წელიწადს არ დამდგარა დონეზე დედა-მიწა. ამავე წელს დაინგრა თმოგვის ციხე-ქალაქი (მესხეთში) ვარძიის ახლოთ. თმოგვის ნანგრევებმა სხვათა შორის დაიტანა კახაბერი ნიანიას შვილი.

ესრეთ იყო ქვეყანა გაოხრებული და მიწასთან გასწორებული, კერა დანგრეული და ნაცარი განიავებული, ამ დროს გამოჩნდა ამომავალი ვარსკვლავი, საქართველოს მსხნელი და ახლად აღმაშენებელი, ჭაბუკი ყოვლითა ნიჭითა სრული მეფე დავითი.

დავით აღმაშენებელი, მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, ეწვია ოსებს, გადავიდა ყივჩიყთა ქვეყანაში, გააღო დარიალის კარი, შეირთო ცოლათ ყივჩიყთა მეფის ქალი გურანდუხტი და თან წამოიყვანა აუარებელი ყივჩიყ—ოვსნი, რომელთაგანაც გაწურთნა და მოამზადა ჯარის კაცნი. შეიტანა წესრიგი, დისციპლინა, ჯარში. მარტო ამათგან შესდგა ასი ათასამდე სპა. დაჰყო იგი რაზმებათ, დაუნიშნა თავ-თავის უფროსები და სპასალარები, ხალხი ჩამოიხიზნა სოფლად, მოჰკიდეს გუთანს ხელი, ეკლესია—მონასტრებში კვლავ აინთო სანთელი, აკმევდა საკმელი, ხალხმა ღაღად-ჰყო უფლისამდე; გვაპატიე ცოდვა ჩვენი, გვაკმარე ამდენი რისხვაო. იპრიანა ღმერთმა და დავითის მეფობას დიდად შეუწყო ხელი შემდეგმა გარემოებამ: 1) დავითის გამეფების მეოთხე წელს, ქართველთა ბედზე, მოწამლულ იქმნა ბაღდადში მელიქ-შაჰ სამარყანდის სულთანის ქალისაგან 1092 წ. 2) ამავე დროს მოუკვდათ სელჯუკებს მეტად ჭკვიანი, დახელოვნებული ვეზირი ნიზამ-ოლ-მოლქი, რომელიც განაგებდა მთელი სახელმწიფოს შინაგან და ფინანსიურ საქმეებს ირანისას. ამ ვეზირმა საკვირველად განაძრიელა ეკონომიურად მთელი საბრძანებელი და ხაზინა სულთან მელიქ-შაჰისა. 3) ამ ორთა დიდებულ მამულის შვილთა სიკვდილის შემდეგ დაირღვა თვით

სელჯუკთა სამეფოს მთლიანობაც. სელჯუკიდები ოთხ ტოტად გაიყვენ: 1) უმთავრესი—მელიქ-შაჰის ჩამომავალნი თავიანთ დედის თურქან-ხათუნის ხელმძღვანელობით მეფობდენ სახელმწიფოს, შუაგულს და აღმოსავლეთის ქვეყნებსაც ფლობდენ. ამათ ებრძოდენ თავიანთივე ათაბაგები და ბევრი მაზრებიც წაართვეს ათაბაგებმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სულთანს ათაბაგები აყენებდენ. თორგულ III იბნ-არსლანი (1177—1194) ფეხლივანებმა ტახტიდანაც-კი ჩამოაგდეს. 2) მეორე ტოტი იყო ქირმანისა, რომელსაც ფლობდენ ალპ-არსლანის ჩამომავალნი. აქაც ბოლოს ერთმანერთს დაერივენ და 1198 წ. ქირმანი ხელში ჩაიგდეს ხორეზმიელებმა. 3) მესამე ტოტი მეფობდა სირია—მესაპატომიაში (ორმდინარეთა შუა) ესენი იყვენ შთამომავალნი თუთუშ დამასკელისა. თუთუშის შვილები ერთმანერთის ბრძოლაში იქამდე დასუსტდენ, რომ ქვეყანა დაღუპეს და მათი სამეფო ემირებმა ჩაიგდეს ხელში.

„ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა მეოთხე ტოტი მცირე აზიისა ანუ უკეთ იკონიისა. აქ მეფობდენ თორგულ ბეგის ბიძაშვილის კუთულმიშას ჩამომავალნი: ყილიჯ-არსლანი I (1092—1107); ამისი შვილი რომელიც ბარბარუსას ეომებოდა, ჰეასიდინი ქაიხოსროვი I (1192—1211), რომელიც დაიღუპა თეოდორე ლასვარისთან ომში.

„რუკნედდინი სულეიმანი, რომელმაც დაამარცხა ლასკარისი და იმპერატორი ალექსი კეიკაუსი (1211—1219). ბოლოს შემოვიდენ მონგოლები და ვეღარც ამათ გაუძლეს დიდხანს. 1297 წელს აქაც გათავდა სელჯუკების დინასტია. მთელი აზიის ხალხი მონგოლებში გაითქვიფა.

„ახლა დაუბრუნდეთ ისევ დავით აღმაშენებელის ხანას, დავითის მოღვაწეობას.

„ღვთის განგებით საქართველო აღსდგა მკვდრეთით!... დავით მეფემ აღმაშენებელმა თავის უძლეველი ჯარით მრავალჯერ სძლია თურქებს და სრულებით დაამხო მათი ძალა თავის ხლმით და ძრიელის მკლავით წაართვა მათ მშვენიერი თემები და ქალაქები: თბილისი, დმანისი, შირვანი, შაქი, შამხარი და სხვა. „ალაფთა ურიცხვობისა გამო, გლეხნიცა თვინიერ ოქრო-ვერცხლისა არა რასავე იღებდენ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენიც სელჯუკთ გაიტანეს საქართველოდან საუნჯე და სიმდიდრე, დავითმა ერთი ორად აინაზღაურა, გაამდიდრა ეკლესია-მონასტერნი, დააკეთა სად გზა, სად ხიდი... ააყვავა ქვეყვანა—საქართველო აღსდგა მკვდრეთით!..

1124 წ. დავითმა ახლად ამოჰხოცა 20,000 სპარსი და დაიჭირა ქალაქი ანი, სადაც დაატყვევა მანუჩეს შვილები და მოიყვანა თბილისში. ესენი იყვენ ბენი-შედ-დადის ქურთის გვარისა, ანის ემირის რევადის ჩამომავალნი. ანისის მართვა-გამგეობა დავითმა ორბელიანთ მიანდო—აბულეთს და მის შვილის ივანეს. (ორბელიანები პირველად იხსენებიან).

მეფე დავითმა დიდის დიდებით აკურთხებინა სამოცი წლის მონობისაგან განთავისუფლებული ანისის საკათედრო ტაძარი, რომელიც თურქებს თუ ქურთებს *) მეჩითად გადაეკეთებინათ.

„ანისიდან ტყვედ წამოიყვანა დავითმა ქურთთა დიდებული აბულ-სევერი შირვან-შაჰ 8 ძითა, რძლითა, მხლებლებითა და ჩაგზავნა აფხაზეთს. ეს ქურთი შეიქმნა წინაპარად შარვაშიძეების გვარისა, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. პირველი შარვაშიძეთაგანი ჩვენს ისტორიაში მოხსენებულია დათაღო. თამარ მეფემ დათაღო (დაღათო) შარვაშიძეს უბოძა სამკვიდროთ ერისთაობა აფხაზეთისა. მე XV საუკუნეში საქართველოს ერთობის უბედურ დარღვევის დროს, სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, დაღათოს ჩამომავალნი გახდენ დამოუკიდებელნი მთავარნი სრულიად აბხაზეთისა..

„შემდეგში დიდი უბედურება დატრიალდა შარვაშიძეთა ოჯახში: დავით ხუთუნია შარვაშიძე აბხაზთა ამბოხებამ აიძულა იმერეთს გაქცეულიყო, ხოლო მე XVIII საუკუნის და მეორე ნახევარში მთავარმა ლევან შარვაშიძემ მთელის თავის ოჯახით ოსმალეთის ქვეშევრდომობა და მაჰმადის რჯული მიიღო.

„ამ გვარი მორჩილება—ერთგულებისთვის სულთანმა უბოძა მას ციხე-სიმაგრე სუხუმ-კალე და სამთავროს მფლობელობის ფირმანი.

---

*) ანჯ-არხანისაგან ქურთებმა ბენი-შედ-დადებმა იშიდეს ქალაქი ანი.

„ლევანის შვილი ქელეშ-ბეი 1804 წ. მიემხრო რუსეთს. რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. უთუოდ ამისთვის საკუთარ-მა მისმა შვილმა ასლან-ბეიმ მოჰკლა იგი (ქელეშ ბეი) 1808 წ., მამის სისხლი აიღო მისმა უფროსმა შვილმა საფარ-ბეიმ, რომელმაც მოჰკლა თავისი ძმა ასლან ბეი, მამის მკვლელი.

საფარ-ბეი გარდაიცვალა 1823 წ. მემკვიდრეო გახდა მისი უფროსი შვილი მიხეილ გიორგის ძე შერვაშიძე, რომელ-მაც ქრისტიანობა მიიღო და რუსეთის გენერალ-ლეიტენან-ტათ, გენერალ-ადიუტანტათ დაასრულა ეს საწუთრო.

**ილ. ალხაზიშვილი.**

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დავით კოპერფილდი.

ჩარლზ დიკენსის მოთხრობა.

## VI.

### სიკვდილი.

ასწავლებელში ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ერთხელ გაზაფხულზედ კლასში შემოვიდა ბ-ნი შარპი და მითხრა:

— დავით კოპერფილდ! უფროსი გიბარებს.

მე ძალიან გამეხარდა, მეგონა სახლიდან ტკბილეულობა გამომიგზავნეს მეთქი. მხიარულათ და საჩქაროთ გავეშურე სასტუმრო ოთახისკენ.

— ნუ მიეშურები, დავით, მითხრა ბ-მა შარპმა, მოასწრობ კიდევ, ჩემო კარგო, ნუ ჩქარობ.

სასტუმრო ოთახში დავინახე ბ-ნი კრიკლი გაზეთით და ჯოხით ხელში, ქალბატონ კრიკლს კი ხელში გახსნილი წერილი ეჭირა.

— დავით კოპერფილდ, მითხრა ქ-ნმა კრიკლმა და მომისვა გვერდით — მინდა მოგელაპარაკო ფრიად საჭირო საქმეზე. ცოტა რამ მაქვს სათქმელი.

მე დავაცქერდი მას.

— როცა შენ სახლიდან მოდიოდი... დედა კარგათ იყო?

არ ვიცი რისგან, მთლად ავკანკალდი.

— მე იმიტომ გეკითხები, რომ წერილი მივიღე. იწერებიან, რომ დედაშენი ძალიან ავად არის. საშიშ მდგომარეობაშია.

მე ყველაფერს მივხვდი...

— დედა მოგიკვდა!

ეს სიტყვები მეტი იყო. მე უკვე უნუგეშო ცრემლებსა ვღვრიდი, ვგრძნობდი, რომ უსაზღვრო ობლათ დავრჩი მთელ დედამიწის ზურგზე. კრიკლმა ძალიან დიდი გულკეთილობა გამოიჩინა ჩემდამი და მთელი დღე არ მიშორებდა. მე სულა ვტიროდი, ტირილისაგან მოქანცულს ჩამეძინებოდა ხოლმე და რო გამოვიღვიძებდი ხელახლათ ვტიროდი.

მეორე დღეს შინ გამგზავნეს.

— —

ჯერ ბარკასს ეტლი არ შეეყენებინა რომ პეგოტიმ გულში კიდეც ჩამიკრა. იმის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

ბ-ნ მორდსტონმა ყურადღება არ მომაქცია. ის ბუხართან იჯდა და ჩუმათ ტიროდა. პეგოტიმ ოთახში შემიყვანა, საცა დედაჩემი ესვენა და უნდოდა სუდარა აეხადა.

— ოჰ, ნუ, ნუ! ნუ ახლებ ხელს, ვუთხარი და ხელი დაუჭირე. მეგონა რომ სუდარის ახდით ის შეაწუხებდა დედას. დასაფლავების შემდეგ მე მაშინათვე ავედი ჩემ ოთახში. ვიცოდი, რომ პეგოტი მომნახავდა და მართლაც შემოვიდა ჩემთან, საწოლზე მომიჯდა და თავისებურად მიამბო ყველაფერი რაც კი სამწუხარო ამბავს შეეხებოდა.

— დიდი ხანია რაც ცუდათა გრძნობდა თავსა, მიამბობდა პეგოტი—სულ რაღაზედაც სწუხდა და ეტყობოდა, რომ ბედნიერი არ იყო. ამ ბოლო დროს საბრალო ყოველთვის დაშინებული იყო. უკმეხი სიტყვა იმისთვის ცემაზე უარესი იყო. მე კი ყოველთვინ კარგად მეპყრობოდა. არაფერი უწყენინებია თავის ტუტუც პეგოტისთვის.

აქ პეგოტი დაჩუმდა და ვგრძნობდი მისი ცრემლები ჩემ ხელებზე როგორ ეცემოდენ.

— ქალბატონი კარგათ უკანასკნელათ იმ საღამოს ვნახე, როცა შენ, ჩემო გვრიტო, დღესასწაულბის შემდეგ გაბრუნდი. შენ წასვლის წინათ მითხრა: აღარა ვნახავ ჩემ საუნჯეს. არასოდეს ქმარს იმას არ ეტყოდა რასაც მე მეუბნებოდა, მაგრამ ერთ საღამოს, სიკვდილის ერთი კვირის წინ, ბ-ნ მორდსტონს უთხრა: „ჩემო კარგო, მგონია მალე მოვკვდები“. იმ საღამოს, როცა ლოგინში ჩავაწვინე, მითხრა: „ძალიან დავიღალე, პეკოტი, აქ იჯექი მანამ დავიძინებ. დალოცე უფალო

ჩემი ბავშვები. დაიფარე უფალო ჩემი უსახლკარო ობოლი! ამ წუთიდან არ მოვშორებივარ. ხშირად მელაპარაკებოდა მორდსტონზე და პაწიაზე: ისინი უყვარდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა მასთან მისი პეგოტი იყო. უკანასკნელ საღამოს მაკოცა და მითხრა: პეგოტი, თუ ჩემი პაწია ბავშვიც მოკვდა სთხოვე რომ ხელზე დამიწვინონ და ისე ერთად დაკვასაფლავონ. (ესეც აუსრულეს, რადგან ყმაწვილი მეორე დღესვე გარდაიცვალა). ჩემმა ძვირფასმა შვილმა საფლავამდე მიმაცილოს, უთხარი რომ ლოგინში მწოლარემ მე ის ერთხელ კი არა — არამედ ათასჯერ დავლოცე. „პეგოტი შესდგა და მე ისევ ვიგრძენ, როგორ ცვივოდენ მსხვილი ცრემლები ჩემ ხელზე.

— მშვენიერი ღამე იყო, განაგრძო მან — ქალბატონმა წყალი მოითხოვა და მერე როცა თენდებოდა, მითხრა: ჩემო პეგოტი, ახლო მომიჯექი. შენსკენ მომაბრუნე, მინდა შენს ახლო ვიყო. მე იმისი თხოვნა ავასრულე და ოჰ! მაშინ დადგა დრო, როცა ჩემი სიტყვები გამართლდა: ის მოხარული იყო უკანასკნელათ თავი დაედო მისი ტუტუც პეგოტის ხელზე. იმან მშვიდათ განუტევა სული, როგორც უმანკო ბავშვმა.

---

დასაფლავების მეორე დღეს პეგოტის გამოუცხადეს, რომ ერთი თვის ვადას აძლევენ ადგილის საშოვნელათ. პეგოტის ეს ძალიან ეწყინა, თუმცა ქალბატონ მორდსტონთან ცხოვრება არ ეაიამოვნებოდა, მაგრამ ჩემი განშორება უფრო ეძნელებოდა. რადგან მეზობლათ ადგილი ვერსად იშოვა გადასწყვიტა იარმუტს წასულიყო და ქ-ნ მორდსტონს სთხოვა გავეშვი მე მის ძმასთან სტუმრათ

გამიშვეს, რადგან სახლში არაფერს ვაკეთებდი და მამინაცვალს ჩემი ნახვაც კი აბოროტებდა. იარმუტში ბედნიერათ ორი კვირა გავატარე. უკანასკნელ კვირას მე და ემილია ბარკასმა და ასკუტიმ სასეირნოთ წაგვიყვანეს. ამ სეირნობის დროს ბარკასი და პეგოტი სადღაც შევიდენ და იქიდან უკვე ჯვარდაწერილები გამოვიდენ. ამ დღეს მე გამოვეთხოვე მისტერ პეგოტის სახლს და ღამე ბარკასთან და პეგოტისთან გავატარე პატარა ოთახში მის სახლის სახურავის ქვეშ. იქვე თაროზე იდო ის წიგნი. რომელშიაც გველეშაპებზე ეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველთვის, ჩემო ძვირფასო დევი, სანამ ცოცხალი ვარ და ეს სახლი ჩემ ხელთ იქნება, მეუბნებოდა პეგოტი,— შენ ეს ოთახი ისე დაგიხვდება, თითქო ამ წუთას მოგელოდე. ყოველდღე დავალაგებ შენ ოთახს ისე, როგორც წინეთ ვალაგებდი. შენ ოთახს ჩინეთშიაც რომ წავიდე, დარწმუნებული იყავ, რომ მაშინაც კი იქნება დამზადებული შენთვის ეს კუთხე, ჩემო თვალის ჩინო.

მე ვგრძნობდი, რომ პეგოტი წმინდა გულით მეუბნებოდა ამას, მესმოდა, რომ ვუყვარდი და ძალიან მადლობელიც ვიყავი.

დავბრუნდი თუ არა მამინაცვალთან ისევ უბედური ცხოვრება დავიწყე არაფერს მასწავლიდენ და არავითარ ყურადღებას არ მაქცევდენ, სანამ ბოლოს ლონდონში არ გამგზავნეს ულბრალო მოსამსახურეთ მამინაცვილის მეგობარ კვინონის კანტორაში. მამინაცვალი კვინონისაგან ჰყიდულობდა ღვინოს და მაგარ სასმელებს. ამ კანტორაში მე ვრეცხავდი და პირს ვუცობდი, ბოთლებს. კვირაში 7 შილინგს მაძლევდენ. ამ რიგად ათი წლის ყმაწვილი ბედის ანაბარათ ვიყავ მიგდებული და რაღაც სასწაულით არ გამოველი ჯიბგირი ან ქურდი. შვიდი შილლინგი ძლივს-ძლიობით მარტო საჭმელზე მყოფნიდა და ამიტომაც ტანისამოსი მალე ისე შემომაცვდა, რომ სრულიად დავემსგავსე კანტორაში მომუშავე ამხანაგ ბიჭებს. ამისთანა სიცოცხლე მომავალში ძალიან მაშინებდა და ამიტომ სულ იმის ფიქრში ვიყავი, თუ როგორ დამეღწია თავი ამ მდგომარეობიდან. ბოლოს გადავსწყვიტე ლონდონიდან გავქცეულიყავი, მომეძებნა ქვეყანაზე ერთად-ერთი ნათესავი დიდიდედა ბეტსი ტროტვუდ და მეამბნა ჩემი სამწუხარო ამბავი.

როგორ დამებადა ეს აზრი თავში, არ ვიცი, მაგრამ რაკი დამებადა მაგრად ჩამებეჭდა თავში და მტკიცე გადაწყვეტილებად გადაიქცა.

რადგან არ ვიცოდი სადა ცხოვრობდა დიდედა ბეტსი, მე ჯერ მივწერე გრძელი წერილი პეკოტის და ვეკითხებოდი, ხომ არ იცის დიდიდედის ბინა. დასასრულ ვთხოვდი სესხათ ცოტაოდენ ფულს.

პასუხი და ფული პეგოტისაგან ძალიან მალე მომივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწერებოდა რომ დიდიდედა სადღაც დუვრს ახლო ცხოვრობს. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო და გადავსწყვიტე გავმგზავრებულიყავი.

როგორც პატიოსანი ყმაწვილი არ მინდოდა ცუდათ მოვეხსენებიე. სამუშაოთ შაბათ საღამომდე დავრჩი, რადგანაც კანტორაში ფული ერთი კვირის წინად მიღებული მქონდა.

შაბათ საღამოს როცა ჩემი ამხანაგები ფულის მისაღებად წავიდენ, მაშინ მე გავემართე ჩემ ბინისკენ. გზაში ბარგის გადამტანს ვეძებდი. შევნიშნე ახალგაზრდა, მაღალი ტანის ყმაწვილი, რომელსაც გვერდით უდგა ცარიელ პატარა ვირით შებმული ურემს.

— რა გინდა მაწანწალავ?—მკითხა მან—რომ შემომცქერი, შენ გეტყობა ერთი გროშიც არ გიჭყავის, მაგრამ იქნება ვისმეს ასწაპნე?

— მე მხოლოდ მინდა გთხოვოთ ჩემი ბარგის გადატანა, რისთვისაც რლა თქმა უნდა—ფულს მოგცემთ.

— სად არის გადასატანი?—მკითხა მან.

— ახლო ქუჩიდან ჩემოდანი უნდა გადაიტანო დუვრის სადილიჟნო კანტორაში, რაშიც ექვს პენსს მოგცემ.

— კეთილი! მითხრა მაღალმა ყმაწვილმა და ისე გარეკა ვირი რომ ძლივს მივდევდი.

მაღალ ტანის ყმაწვილის საქციელი რაღაც არ მომწონდა, მაგრამ მე მაინც წავიყვანე ჩემოდანისათვის და როცა ჩემოდანი ეტლზე დადო მე ვაპირებდი ბარგზე ჩემი მისამართის დაკვრას, მაგრამ მეეტლემ ისე გარეკა ვირი, რომ ძლივს ღა დავეწიე.

შეშინებული, სირბილისაგან დაქანცული ძლივსღა ვიდგამდი სულსა. სირბილში ნახევარ გინეი გამომვარდა ჯიბიდან. რადგან ბარათის მიკვრა ჩემ ბინის წარწერით მეჩქარებოდა ფული პირით დავიჭირე და აკანკალებული ხელით დაუწყე ბარათს მიკვრა. უცბად მეეტლემ ძალით დამკრა ნიკაპზე ხელი, ფული გამაკდებინა პირიდან და თითონ სტაცა ხელი.

— ერიჰა! დაიყვირა და ხელი წამავლო კისერში, ეს პოლიციის საქმეა, შენ სხვის ბარგი უნდა დაგემალა ჰა? პოლიციაში წამო, შე არაძზადავ, პოლიციაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფული მომეცით და თავი დამანებეთ, ვბუტბუტებდი მე ძალზე შეშინებული.

— წამო პოლიციაში, წამო! ღრიალებდა მობარგე. წამო პოლიციაში და იქ დაამტკიცე რომ ეს ბარგი შენია.

— მომეცით ჩემი ფული და ჩემოდანი ვეხვეწებოდი მე და ცხარე ცრემლით ვტიროდი.

— პოლიციაში! პოლიციაში! იმეორებდა ის და მუჯლუგუნებს მარტყამდა. მაგრამ უცბად, თითქო ახალმა აზრმა გაუელვა თავშიო; თავი დამანება, ახტა ეტლზე, ერთი კი დამიყვირა პოლიციაში მივდივარო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გარეკა ვირი.

დავედევნე მებარგეს. ყვირილი არ შემეძლო, რადგან სირბილისაგან სულს ძლივსღა ვიდგავდი. ოცჯერ მაინც კინალამ არ გამჭყლიტეს ეტლებმა, მებარგე ხან გამოჩნდებოდა, ხან მიიმალებოდა. ძალ-ღონე გამოლეული მივრბოდი, ვიღაცა მეეტლემ შოლტი გადამკრა, მერე გუბეში ჩავარდი, წამოვხტი ისევ და გავიქეცი, ვეცი ვიღაც გამვლელს, შემდეგ ისევ დავეცი, ისევ გავიქეცი და ვეძგერე ფარნის ბოძს. შიშისაგან და სიცხისაგან ძლივს ვიბრუნებდი სულს, თანაც მეშინოდა მთელი ლონდონი არ დამადევნოს მეთქი და თავი გავანებე უსვინდისო მებარგეს.

ბოლოს, როდესაც მოვიხედე, დავინახე რომ უკვე ქალაქის ბოლოში ვიყავ და ბნელდებოდა კიდეც. მე იქვე მივჯექი. ჩემი ავლადიდება სულ ორ პენსს შეადგენდა.

წამოვდექი და დუვრის გზას დავადექი. ქალაქს რო გავედი პატარა საცოდავი დუქანი დავინახე. დუქანს ზევით ეწერა: „აქ ისყიდება ძველი ტანისამოსი. პატრონი კარების წინ იჯდა და თუთუნს ეწოდა. მაშინვე მეორე ქუჩას შევუხვიე სწრაფათ გავიხადე ჟილეტი, დავკეცე და დუქნისაკენ წავედი იმ იმედით, რომ ეს მაინც მოიცემს ფულებს და მით ცოტა ხანს მაინც მოვიშორებ შიმშილით სიკვდილს.

— ამის ყიდვას ხომ არ ინებებთ, ვუთხარი მედუქნეს.

მედუქნემ გამომართვა ჟილეტი, გამობერტყა კარების ჩარჩოზე ჩიბუხი! შემიყვანა დუქანში, გაშალა ჟილეტი დახლზე, გულდასმით გასინჯა, მერე ისევ ხელში აიღო, სინათლეზე გახედა და მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა! რას აფასებ შენ ჟილეტს.

— თქვენ უკეთ იცით, ბატონო.

— შენ თვითონ დააფასე შენი ძონძები.

— 18 პენსი მომეცით, ვუთხარი ცოტა ფიქრის შემდეგ.

მედუქნემ დაკეცა ისევ ჟილეტი, დამიბრუნა და მითხრა:

— ცხრა პენსიც ბევრია ამ კონკებში.

— პასუხათ საჩქაროთ ვუთხარი, რომ თანახმა ვარ ცხრა პენსი მიმეღო. მედუქნემ ბუზღუნით მომითვალა ფული და დუქნიდამ გამოვედი. ჩემ წინ გადაშლილ გზას რომ გადავხედე მომაგონდა კიდევ ჩემი ბარგის მტაცებელი და მისი ვირით შებმული ურემი. გავაქნიე ხელი და გზას გავუდექი.

ღამე სადღა გავათიო? გავიფიქრე მე და გადავწყვიტე სალემ-გაუზამდინ მივსულიყავ და იქ ჩემ წინანდელ სკოლის შენობის უკან თივაზე გამეტარებინა ღამე.

სალემ გაუზის უკან წინანდებურათ თივა ეგროვა. თივაზე მოვეწყე ღამის გასატარებლათ. სასწავლებელს გარშემოვუარე, ფანჯრებში შევიხედე და დავრწმუნდი, რომ სასწავლებელში სრული სიჩუმე სუფევდა: ყველას ეძინა. არასოდეს არ დამავიწყდება რასაც მე მაშინ ვგრძნობდი; მარტოკა ობლათ ვიყავ და მშობლიურ ჭერის მაგივრად ცის კამარა დამცქეროდა ზევიდან.

მეძინა ისე, როგორც სძინავს ყველა განდევნილს, რომელსაც ყველა კარებს უკეტავს. დილის სიცივემ ტანში დამიარა. გამომეღვიძა როცა მზე უკვე ამოსულიყო და ჩემი გათოშილი ტანი შეეთბო. სალემ გაუზში ზარი ჩამორეკეს და მეც წამოვდექი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე სოლომონისძე ხახანაშვილი

ამაწვილებო, ყური დამიგდეთ, რა გითხრათ. თქვენსავით ერთ პატარას ვიცნობდი და როცა ვკითხე, სადაური ხარ მეთქი, შეშფოთდა, თითქოს არ ნდომობოდეს, მითხრა, თელაველი ვარო.

თელავი ხომ კახეთშია, კახეთი და მისთანა რამდენიმე დიდი ქვეყანა კიდევ ხომ საქართველოშია, იმისი ამბავი კი ნაკლებათ იცოდა. ალბად იმიტომ, რომ ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა იყო, თორემ, როცა გაიზრდება და სწავლაში იქმნება, ყველაფერი ეცოდინება. ეცოდინება არა თუ თავისი სოფლის და თემის ამბავი და თავგადასავალი, არამედ სხვა სოფლებისა და თემებისაც, სადაც სცხოვრებენ ჩვენი მოძმეები, სადაც ქართული ლაპარაკი და ქართული სიმღერა გაისმის, სადაც მრავლად იპოება ჩვენი წინაპრების დატოვებული სხვა და სხვა ნაშთი 1) ტაძრები, რომელიც შემკობილია შიგნით ჩინებულის მხატვრობით და უცხოდ მოჭედილ მოოქვილი ხატებით, გარეთ კი მშვენიერ ჩუქურთმიანი შაქრის თავა გუმბათებით, 2, ციხე—კოშკები, სადაც ხალხი გამაგრებულა ომიანობის დროს და შემოსეული მტრებისთვის პასუხი გაუციათ თოფ-ზარბაზნების სროლითა და 3, საოცარის ხელოვნებით **ნაწერნახატი ძეგლები** ზოგი პაპირუსის, ზოგი ეტრატის, ზოგიც ქაღალდისა.

ყველა აქ ჩამოთვლილი ტაძრები, მათი მხატვრობა, ხატები და ჩუქურთმები, ციხე-კოშკები და ხელ ნაწერები ერთნაირად იზიდავს მნახველი მგზავრის და მეცნიერ ხელოვანის ყურადღებასა. იმ ნაშთებს იკვლევენ არა მარტო უცხო ქვეყნის მეცნიერები, არამედ ჩვენი ქვეყნისაც, ჩვენი მამულიშვილებიც.

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი, რომელიც დიდუბეში მიწას მივაბარეთ 5 მარიამობისთვეს, სწორეთ ჩვენი ქვეყნის საისტორიო ნაშთებს იკვლევდა და თავის გამონაკვლევს ბეჭდავდა არა მარტო ქართულად, არამედ უცხო ენითაც. მისი რუსული ნაწერი უფრო შესანიშნავია **ქართული მწერლობის მიმოხილვა**, რომელიც შემოკლებით ქართულათაც გამოსცა. ხოლო ფრანგული—**საქართველოს ისტორია**. მოსკოვის უნივერსიტეტის და ლაზარეანთ აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტისა მოწაფეებს ლექციებს უკითხავდა. ამნაირად ჩვენის ქვეყნის ამბავს ატყობინებდა რუსის მეცნიერებს, ახალგაზრდობას და თვით საზოგადოებას, რომელსაც ნაკლებად მოეხსენება ჩვენი ქვეყნის ავკარგი, თუმცა ეს თორმეტი წელიწადია, რაც რუსობა და ქართველობა ერთად სცხოვრებს.

ალექსანდრე ხახანაშვილს ჩვენი ქვეყნის სიყვარული ღრმად ჰქონდა გულში ჩანერგილი და სწუხდა. რომ საქართველოს დიდებულ თავგადასავალს, მწერლობას და ხელოვნებას არ იც-

ნობდა რუსეთი და ევროპა. ამიტომ დაუცხრომლად მუშაობდა ჩვენი ქვეყნის შესასწავლად; ისე კარგად, რომ მის ნაშრომ-ნალვაწს დიდი ფასი ჰქონდა.

თავისი ოფლით ნაშოვნი, ხოლო მომჭირნეობით დაზოგვილი ქონება სულ მცირედი ნაწილი ღარიბ ნათესავებს გადასცა, ხოლო დიდძალი რაოდენობა 45,000 მან. ანდერძით დაუტოვა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ქართლის ქვეყნელი და გორელი მღვდლის შვილი, დაიბადა 1866 წელს, მაშასადამე სულ 46 წლის ყოფილა, ჯერ კიდევ მოუხუცებელი, რომელსაც შეეძლო უფრო მეტი ეკვლია და ეძია ჩვენი ტანჯული სამშობლოს თავგადასავალი, ულმობელ სიკვდილს რომ არ მოესპო მისთვის სიცოცხლე. ზოგჯერ დაუცხრომელ შრომაში თავდავიწყებით გართული და დაუდევრობით თავს პატივს აკლებდა, მაგრამ ანდერძით დაგვიმტკიცა თავისი უანგარობა, რათგანაც ვიდრე ცოცხალ იყო თავისი გონებითა და ჯანითა, ხოლო როცა მოკვდა თავისი ქონებითაც ემსახურა სამშობლო ქვეყნის ბედნიერებას.

როდი კმარა ჩვენთვის ვისწავლოთ, როგორია ეხლა ჩვენი ქვეყანა, როგორია ეხლა ქართველობა და როგორ სცხოვრებს, ფრიად და ფრიად საჭიროა აგრეთვე ისიც ვიცოდეთ, თუ რა გადახდომია თავს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხსა, შინ როგორ უცხოვრია, გარეთ რამდენად პატივცემული ყოფილა.

როცა ვიცით, რა ვიყავით უწინ და რა ვართ ეხლა, უფრო ადვილად შევიძლებთ, მომავალი უბედურება თავითგან ავიცილოთ და ბედნიერება დავიმკვიდროთ.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლე ცნობები

## თვალთ-უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან.

(გაგრძელება).

წინა წერილში, ჩემო პატარა, მკითხველო, მე თქვენ შეგპირდით ბაკტერიების შესახებ უფრო ვრცლად მოგელაპარაკოთ. როგორც უკვე ვთქვით, ბაკტერიები მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან და თვითეული მათგანი მარტოთ ერთი უჯრედისაგან შესდგება.

მეცნიერნი განარჩევენ ბაკტერიებთა სამგვარ ძირითად ფორმას: კოკკებს, ბაცილებს და სპირილებს.

კოკკები წარმოადგენენ ბურთივით მრგვალ არსებათა. (ს. 1)



საზოგადოთ იმათ ერთად ცხოვრება უყვართ, ერთი-მეორეზედ რიგ რიგათ არიან ჩამწკვრივებულნი, და ეს მწყობრათ ყოფნა-დალაგება მათ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. თუ ერთი კოკკი მეორესთან ახლოს სცხოვრობს, თუ ისინი ორ რწყვილ მრგვალ სხეულს გვანან, მაშინ მათ დიპლოკოკკებს (სურ. 2) (ორკოკკებს) ეძახიან, როცა ერთი კოკკი მეორეზედ კრიალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანივით ასხმულია, მაშინ მათ სახელათ სტრეპტოკოკებს (სურ. 6) ეტყვიან, ხოლო თუ რამდენიმე კოკკები გუნდ-გუნდათ არიან თავმოყრილნი, მაშინ იმათ სტაფილოკოკებს (სურ. 5) ანუ მტევან-კოკკებს უწოდებენ, რადგან ისინი თავიანთი გარეგანი შეხედულებით ყურძნის მტევანს მოგაგონებენ. როცა კოკკი ჯვარედინათ გაიყოფა, მაშინ მას ოთხს კოკკს ანუ ტერრაკოკს ეტყვიან. ზოგჯერ კოკკი სამ რიგათაც გაიყოფა სიმსხო-სიგანით და სიგრძით, ამ შემთხვევაში მიკროსკოპში ჩვენ თვალ-წინ გვეხატება რვა მწყობრათ დალაგებული კოკკი, ასეთ-ნაირათ თავმოყრილნი კოკკები ძლიერ გვანან ჯვარედინათ შეკრულ საპალნის ცალს და სახელად სარცინას უწოდებენ (სურ. 4).

მოგრძო ბაკტერიებს ჰქვიანთ ბაცილები, ისინი თავიანთი არსებითი სახით ძლიერ წააგავან ჩოხის მასრებს, ზოგი ბაცილა ალყასავით დგას და სწორია, ზოგი კი მოზნექილია, თუ ბაცილა თავისი გარეგანი სახით მძიმეს მოგაგონებთ, მაშინ მას ეძახიან ვიბრიონს, ასეთია მაგალითად ხოლერის ბაცილა—ვიბრიონი, რომელიც აღმოაჩინა სახელ-განთქმულმა გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა 1884 წელში.

სპირილლები ჰქვიან ისეთ ბაცილებს, რომელთა ტანი ბურღივით დაგრეხილია.

ზომით, ესე იგი სიდიდით ბაკტერიები ერთობ მცირედზე უმცირეს არსებათ წარმოადგენენ. საკმარისია ვსთქვათ, რომ ქინძისთავზედ რამდენიმე ასი ათას მილიონ ბაკტერიებს შეუძლია მოთავსება, ამითი ნათლათ წარმოვიდგენთ. მათ სიდიდეს. ასეთ ქმნილებათა სახის და ორგანიზაციის (მოწყობილობის) შესასწავლათ, რასაკვირველია, ძლიერ განმადიდებელი მიკროსკოპი უნდა ვიხმაროთ, რომელიც საგანს ათასჯერ მეტათ ადიდებს. ყველაზედ უმცირესი ბაკტერია სიგრძით უდრის ნახევარ მიკრონს*), სიმსხო კი იმისი ორ მეათედ მიკრონსაც არ აღემატება. მოარულ სენთა გამომწვევ მიკრობებში იშვიათად მოიპოვება ისეთი, რომელთა სიგრძე ცხრა ანუ ათს მიკრონს აღემატებოდეს და სიმსხო ერთს მიკრონს.

*) მიკრონი—მილიმიტრის ერთი მეათასედი ნაწილია, ხოლო ერთი მილიმეტრი—მეტრის ($22^1/_2$ გოჯის) ერთ მეათედ ნაწილს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სხვა ერთ უჯრედოვან არსებათა სხეული, ისე ბაკტერიებისაც შესდგება ნერწყვისებრივი სითხისაგან, რომელსაც ჰქვიან პროტოპლაზმა. პროტიპლაზმა უჯრედის წვენით გაჟღენთილია და გარედამიდან როგორც წინეთ აღვნიშნეთ, გარსი აკრავს.

ბაკტერიის გარსი ერთობ თხელია და ნაზი, უფერული, გარშემო მას აკრავს ერთგვარი ლორწისებრივი ხვეული; ზოგიერთ ბაკტერიას გარსი აქვს სქელი და ორკეცი.

მცენარეთა და ცხოველთა უჯრედი, გარდა პროტოპლაზმისა შეიცავს ერთნაირ მრგვალ სხეულს, რომელსაც სახელად გულს ეძახიან და რომელიც მიკროსკოპში ძლიერ მკაფიოთ მოსჩანს, მეტადრე თუ უჯრედს 'შესაფერი საღებავით შევღებავთ**). არის თუ არა ამნაირი სხეული ბაკტერიალურ უჯრედში, ეს მეცნიერებას ჯერ კიდევ დანამდვილებით არ შეუქმნია, არ გამოუკვლევია. უმეტესი ნაწილი სწავლულთა იმ აზრს ადგია, რომ ბაკტერიებიც არ არიან მოკლებულნი უჯრედის ამ არსებით ნაწილს—გულს, მხოლოდ მათი მოსაზრებით ეს სხეული თვით პროტოპლაზმაში დაქსაქსული და არეულია.

ბაკტერიები სხვა ცოცხალ არსებასავით საჭიროობენ საჭმელ-სასმელს, იზრდებიან, შედიან წარმატებაში და როცა განსაზღვრულ ზომისა შეიქნებიან, ზრდას დაასრულებენ და გამრავლებას მოჰყვებიან. მიკრო-ორგანიზმის გამრავლება მის ორად გაყოფაში, განაწილებაში გამოიხატება. ამა თუ იმ ბაკტერიას მიკროსკოპით კარგათ და ხანგრძლივ დავათვალიერების, შემდეგ მის შუაგულ ალაგას შევამჩნევთ ერთნაირ თხელ და ნაზ ზღუდეს, რომელიც თავდაპირველათ ძლივს მოსჩანს, ძნელი გასარჩევია, ხოლო შემდგომ თანდათან უფრო ცხადდება, თვალსაჩინოთ ხდება, ეს ზღუდე ბაცილის უჯრედს ორად ჰყოფს, ასე რომ ერთი დედა უჯრის მაგივრად ორიასული უჯრედი ჩნდება; როცა თვითეული ამათგანი ასაკში შევა, თავისთავად კიდევ განმრავლდება, ამ რიგათ ერთი ბაცილა, თუ რაიმე პირობებმა ხელი არ შეუშალეს, ყოველ ნახევარ საათში ერთი-ორათ ხდება, ხოლო დღე და ღამეში ის

**) საზოგადოთ ბაკტერიები უფრო მკაფიოთ მოსჩანენ მიკროსკოპში, როცა შესაფერი საღებავით არიან შეღებილნი.

ათას ექვსას მილიონ შთამოგებას მოიგებს. როცა ბაკტერიებს საჭმელ-სასმელი მოაკლდება ან როცა ისინი ცუდ პირობების გავლენის ქვეშ იმყოფება, მაშინ ზოგიერთი მათგანი მაგალითად ჯილეხის ბაცილა ჩაპარკტება: უჯრედის შიგა და შიგ ჩნდება ახალი მარცვლისებრივი მოელვარე სხეული, რომელსაც თავის საკუთარი გარსი და პროტოპლაზმა აქვს; ეს მარცვალი ზედ-გამოჭრილი მომავალი ბაცილის ნასახია.

ვიდრე ჩაპარკებას შეუდგებოდეს ბაცილა ზოგიერთა ცვლილებას განიცდის: შუა ალაგას გვერდი ამოებერება, აეკუზება ან და ბოლოზედ კომბალივით დამსხვილდება, ამ დროს ის ქინძისთავსა ან და დოლის ჩხირებს ემსგავსება. ჩაპარკებული ბაცილა შესამჩნევი თვისებებით განირჩევა: მას მრავალ გვარ ცუდი პირობების გადატანა შეუძლია, ის ადვილათ უძლებს უკიდურესს სითბო-სიცივეს, ხანგრძლივ სიმშილ წყურვილს. როცა მათ სანატრელ და სასურველ დროს მოესწრობიან, როცა გარშემო არსებულ პირობებში და წრეში საკმაო და გამოსადეგ საკვებ საშვალებას იპოვნიან, ჰაერის სითბო-სიცივეც ხელს შეუწყობს მათ აღორძინებას, მაშინ ბაცილის გარსი იხრწნება, იშლება და შიგ მყოფი პარკი თავისუფლათ ცხოვრებას და ზრდას დაიწყებს.

ეს გარემოება შესაძლებლათ ხდის ჩაპარკება უფრო რთულ მოვლენათ ჩავთვალოთ, ის წარმოგვიდგენს არა თუ მარტო ერთნაირ წესს გამრავლებისა, არამედ მაში ჩვენ ვხედავთ თავისებურ საშვალებას, თავისებურ ღონისძიებას, რომელსაც მიკროორგანიზმი ღონობს გარეშე მავნე პირობებთან ბრძოლაში და მით ცდილობს თავის შთამოგების დაცვას და შენარჩუნებას. ჩაპარკებით მრავლდებიან მხოლოდ ბაკტერიები, კოკკებში კი ამის მგზავს ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. ზოგიერთ ბაკტერიებს მოძრაობის უნარიც აქვსთ. ამას ისინი ახერხებენ მარტო წამწამივით წმინდა კუდის შემწეობით, რომელიც მოძრაობის დროს გველივით იკლაკნება. არის ისეთი ბაცილა, რომელსაც ორი მეტრი კუდი აბია, სახადის ბაცილის სხეული თითქმის მთლად დაფარულია ასეთი წამწამებით.

ამ გვარ სამოძრაო იარაღს ჩვენ უმარტივეს ცხოველებშიაც ვხედავთ. წინეთ კარგათ არ იცოდნენ თუ რა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულება ჰქონდა ბაკტერიის სხეულს მაზედ მიბმულ წამწამისებრივ კუდთან, ეხლა კი დანამდვილებით გამოკვლეულია, რომ ეს კუდი პროტოპლაზმის წამონაყარი შტოა, ნაწილია მისივე სხეულის. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ თუ როგორი სისწრაფით მრავლდებიან ბაკტერიები. ეჭვს გარეშეა, რომ ამშემთხვევაში ისინი მრავალ გვარ ხელის შემწყობი პირობების ზედგავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდენ, უნდა ჰქონდესთ შესაფერი მასაზრდოებელი საჭმელი, სითბო სინათლე და აგრეთვე სინესტე, რადგან ძლიერ მშრალ ალაგას ბაკტერიები ვერ სძლებენ.

მასაზრდოებელი სანოვაგე უნდა შეზავდეს სწორედ იმ ნივთიერებით, რომლისგანაც აშენებულია თვით ბაკტერიების სხეული. როგორც სხვა მცენარეთა და ცხოველია სხეული, ისე ბაკტერიებისაც შესდგება ოთხი უმთავრესი ნივთიერებისაგან: ნახშირბადის, მჟავბადის, წყალმბადის და აზოტისაგან, ამათში სხვათაშორის ურევია კიდევ წუმწუმა, გვარჯილა, კალაქვა, ბავრუკი, კალციუმი, მარგანეცი, რკინა და სხვა. საუკეთესო და მარგებელ საზრდოს ბაკტერიები შოვულობენ სხვა და სხვა ცხოველთა სხეულში და განსაკუთრებით, ადამიანისაში. კარგათ ხარობს მიკრობი ხელოვნურად მომზადებულ ნიადაგზედაც; სწავლულებმა ბევრნაირი ნიადაგი გამოიგონეს, მოამზადეს ბაკტერიების გამოსაკვებ მოსაშენებლათ, ასეთია მაგილითად ხორცის ბულიონი, სისხლის შრატი, კარტოფილი, ჟელატინა და ერთნაირი წყალ-ბალახა, რომელიც ინდოეთში ხარობს და სახელად ჰქვიან „აგარ-აგარ". როცა ამა თუ იმ ბაკტერიას კარგათ გამოცნობა და მისი ხასიათის შესწავლა სწადიათ, მას რომელიმე ხელოვნურ ნიადაგზედ დათესავენ და თვალყურს ადევნებენ მის ზრდა-განვითარებას. ყველა ბაკტერია ერთნაირად არ იზრდება არა ხარობს ზემოთ ჩამოთვლილ ხელოვნურ მასაზრდოებელ ნიადაგზე, ზოგი უფრო ბინადრობს ბულიონზედ, ზოგი შრატზედ, ზოგს ჟელატინაზედ უფრო უყვარს ცხოვრება. არის ისეთი ბაკტერიები, რომელნიც ვერ იხვირებენ თუ თავისუფალი მჟავბადიანი ჰაერი არ აქვსთ, მაგრამ ისეთებიც კი არიან, რომელნიც სრულიად არ საჭიროებენ მჟავბადს, პირიქით ის მათ განვითარებას აფერხებს, აბრკოლებს. პირველი თვისების მქონე ბაკტერიებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰაერის მოყვას** ბაკტერიებს ეძახიან, მეორეს კი ჰაერის მაძულეთ (აერობი და ანაერობი).

არის ისეთი ბაკტერიებიც, რომელნიც მარტო მკვდარ, დამპალ ნივთიერებაზედ ცხოვრობენ და იქ შოულობენ საჭირო საზრდოს—ამათ სახელად საპროფიტებს ეძახიან, მეორეებს შევხდებით ისეთებსაც, რომელნიც მრავლდებიან, ხარობენ ცხოველთა და ადამიანის სხეულში, მათ სისხლში და ქსოვილებში—ესენი არიან მუქთახორნი (პარაზიტები) ანუ სენის გამჩენი მიკრობები. დიდათ დამოკიდებულია ბაკტერიების ბედ-იღბალი სითბო-სიცივეზედ (ტემპერატურაზე), უკეთესად გრძნობენ თავს ბაკტერიები თუ სითბო იმ მიდამოსი, სადაც ისინი ბინადრობენ $30^0$—$37^0$ ადის, უმაღლეს სითბოთ, რომლის ზემოთ ვეღარ ხეირობენ და მაშინ მათი ზრდა-განვითარება ფერხდება, ნელდება, უდრის $45^0$, მავნებლათ მოქმედობს აგრეთვე სითბო $3^0$—$4^0$ უფრო ქვევით დაშვება, მხოლოდ ეს ღაა რომ სიცივე უფრო ნაკლებ მოქმედობს ბაკტერიებზედ, ვიდრე ძლიერი სიცხე. ხოლერის ბაცილა ანუ ვიბრიონი ზამთრის სუსხს, ყინვას თითქმის ერთ თვეს უძლებს, უმკლავდება, ხოლო ხუნაგისა ამავე პირობებში კიდევ სამ თვეს არ ჰკარგავს სიცოცხლის ნიშან-წყალს. ერთობ ცუდი გავლენა აქვს ბაკტერიებზედ მორიგეობით ჯერ გაყინვას და მერე დადნობას. რვა ჯელ გადნობა—გაყინვის ზედგავლენით სახადის ბაცილას სრულიად ხოცავს სამი დღის განმავლობაში. სადაც დიდი სიცივე იცის იქ ყოველივე გახრწნილობითი პროცესსი შეფერხებული და შეჩერებულია. ამას ჩვენ სხვთა შორის გვიმტკიცებს სიბირის გაყინულ ჯარმიდამოებში აღმოჩენილი ლეში ერთი უზარმაზარი ცხოველისა, რომელსაც სახელად მამონტი ჰქვიან. ეს ცხოველი სწავლულების სიტყვით ცხოვრობდა რამდენიმე ათასის წლის წინეთ და მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში—ცივ ბუნებას თითქმის უცვლელათ დაუცავს და შეუნახავს.

ცუდათ მოქმედობს ბაკტერიებზედ აგრეთვე სინათლე და განსაკუთრებით მზის სხივები, ჭლექის ბაკტერია რამდენიმე საათს ძლივს უძლებს პირდაპირ მომქმედ მზის შუქს.

შემჩნეულია, რომ ყოველი მოარული სენი უფრო ფეხს იკიდებს და ვრცელდება ნოტიო და ბნელ ბინებზე და მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობინადრეთა შორის. გახმობას, როგორც ზემოთა ვსთქვი, ბაკტერიები ნაკლებათ უძლებენ; ყველაზედ უფრო გახმობის ატანა შესძლებია ჭლექის ბაკტერიას, რომელსაც სამ თვეს, შეუძლია გახმობის ატანა, სახადის ბაცილა სამოცდა ათ დღეს ეწინააღმდეგება და ებრძვის გაშრობა-გახმობას, ხუნაგისა ერთ თვეს, შავი-ჭირის—რვა დღეს, ხოლო ხოლერის ვიბრიონი კი ორი დღის გახმობის შემდგომ ჰკარგავს სიცოცხლის ყოველივე ნიშან-წყალს. გამხმარ ნაფურთხში მყოფი ჭლექის ბაკტერია თითქმის ათი თვე ცოცხლობს და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის მზად არის თავისი შემმუსვრელი ძალა გამოიჩინოს. ყველაზედ უფრო გამძლედ ან შეურყეველათ ჩვენ ჯილეხის ბაცილის პარკი უნდა ვიგულისხმოთ: ოცი წელი რომ ეგდოს ხრიაკ—მინდორზე მას არა-რა დააკლდება, მაგრამ თუ ცოტა ნამი და სითბო იპოვა, მაგალითად ბალახის მოძოვის დროს შინაურ საქონელს ცხვარს, ძროხას თუ სტომაქში ჩაჰყვა, ისე გამმრავლდება რომ საწყალს წუთისოფელს გაუმწარებს.

(შემდეგი იქნება)

ივ. ო—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

# „სახალხო გაზეთი“

ოფიციალური სოციალიტიკა და სალიტერატურო გაზეთი

შომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ოფიციალ დღიურ-გამოცემის გარდ გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანად:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ეშველვან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის ნოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

**რედაქციის ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

---

## ПОДПИСКА НА 1912 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

# „Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставкой въ Тифлисѣ: | | Съ пересылкой въ другіе города: | |
|---|---|---|---|
| На годъ . . . | 6 р. — к. | На годъ . . . . | 8 р. — к. |
| На полгода . . | 3 р. 50 к. | На полгода . . . | 4 р. 50 к. |

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

*Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.*

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

## საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

## ოცდა მესამე წელიწადი.

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ., ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

**ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძეს.
**ბაქოში**—ქალ. მართა კვიტაშვილს.
**მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს.
**გორში**—კნ. თამარა თარხნიშვილს.
**სამტრედიაში**—რაჟდენ ნანეიშვილს.
**თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
**სილნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
**ჭიათურაში** ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.
**ბათუმში**—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი **ან. თუმანიშვილი წერეთლისა.**

---


**Открыта подписка на 1912 годъ**

**НА ГАЗЕТУ**

# „Закавказская Рѣчь"

**Подлисная цѣна**

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисѣ. | Въ провинціи. |
|---|---|---|
| На годъ . . . . . | 6 руб. — коп. | 8 руб — коп. |
| „ полгода . . . . . | 3 руб. 50 коп. | 4 руб 50 коп. |
| „ 3 мѣсяца . . . . . | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяцъ . . . . | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

**АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Сараджева.**

**Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".**

Редакторъ **кн. Г. М. Палавандовъ.**

Издатель **Э. З. Горделадзе**